კოალიციური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 6 ოქტომბერი, 2023 №197 (9233) ფასი: 80 თეთრი

რა მოხდა დადიანის ქუჩაზე

სარდაფში ცხედარი იპოვეს

გვ.4

რა ღირს პრეზიდენტის იმპიჩმენტი?!

იაგო ხვიჩია: „საკონსტიტუციო სასამართლოში „ოცნებას“ არანაირი საფრთხე არ ემუქრება“

გვ.2



ვახტანგ ძაბირაძე: „ხელისუფლება პოლიტიკურად ძალიან წამგებიან პოზიციაზეა... პრეზიდენტი, იმპიჩმენტის პროცედურით, საქართველოში ჯერ არ გადაუყენებიათ“

გვ.3

„სალომე ზურაბიშვილი აუცილებლად გახდება აქტიური პოლიტიკური ლიდერი“

„ლავროვის სიტყვებში იკითხებოდა, რომ რუსეთი ბოლომდე არის მათთან, ვინც რუსეთთანაა“

გვ.4

სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმებს ყარაბაღის მოვლენების გამეორება აფრთხობთ

პარლამენტმა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში ცვლილება მიიღო

გვ.2

პაატა მანჯგალაძე: „შეშაც აკრძალეთ, კონსერვის ქილაც...“



გვ.5

ხელოვნურ კვებაზე მყოფი ბავშვი 6-ჯერ უფრო ხშირად ავადდება

რა შეცდომები დაუშვა ნოე ჟორდანიამ

ირაკლი ღარიბაშვილი: „ევროპელი კოლეგების მხრიდან საჭიროა გადაიდგას შემდგომი ნაბიჯი და ქვეყანამ მიიღოს დამსახურებული კანდიდატის სტატუსი, ეს არის ჩემი მთავარი გზავნილი გრანადაში“

გვ.3

1993230720223

4 დავით სარალიძის მკვლელობისთვის მსჯავრდებულმა მიხეილ კალანდიამ პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით მიმართა

4 ვინ არის „კანონიერი ქურდი“, რომელიც რესტორანში მოკლეს

6 აშშ-ის კონგრესის სპიკერი გადააყენეს

4 პარლამენტარი სექს-სექტის ორგანიზებისთვის დააპატიმრეს

2023, 6 ოქტომბერი, №197

რა ღირს პრეზიდენტის იმპიჩმენტი?!

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „გირჩის“ ლიდერი იაგო ხვიჩია პასუხობს.

– ბატონო იაგო, ბოლო დღეებია საკმაოდ დაძაბულია საპარლამენტო ცხოვრება. დიდი ვნებათაღელვაა. შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში ცვლილებები შედის. რას ცდილობს „ქართული ოცნება“? რატომ ამკაცრებს კანონს? რისი ეშინია, კარვების რევოლუციის?

– „ოცნებას“ რევოლუციის რომ ეშინოდეს, ამაში არანაირი პრობლემა არ არის. თვითონ ისე იქცევიან, რომ ადამიანების გაღიზიანებას იწვევენ ყოველდღიურად. ბუნებრივია, რომ ასეთი შიში ჰქონდეთ, მაგრამ ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ოპოზიციის მოწყობილი რევოლუციის მაგათ არ ეშინიათ, უბრალოდ, ხალხს აშინებენ ოპოზიციით. ოპოზიცია მათ მიერ არის გამოყენებული ამ შემთხვევაში საფრთხობელად. ისინი ფიქრობენ, რომ ამ საფრთხობელათი ხალხის დაშინებას შეძლებენ. სწორედ ამიტომ არის ეს კამპანია დაწყებული.

ეს კანონი არ იცავს რევოლუციისგან ხელისუფლებას. პირიქით, რაც უფრო მეტს ილაპარაკებენ რევოლუციაზე, მით უფრო შეეჩვევა ადამიანების ყური იმას, რომ ხელისუფლებას ეშინია და ელოდება რევოლუციას.

– ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს არ უნდა არჩევნებამდე მისვლა „ქართულ ოცნებას“ და თავად უნდა საკუთარ თავს რევოლუცია მოუწყოს. თქვენ რა შთაბეჭდილება გრჩებათ?

– ალბათ, მათი მიზანი საკუთარი თავისთვის რევოლუციის მოწყობა არ არის, მაგრამ მეც ნამდვილად მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამას ამზადებენ. ისე იქცევიან, სხვაგვარად ვერც იფიქრებს კაცი. ზოგადად, „ქართული ოცნება“ ძალიან ბევრ შეცდომას უშვებს ყოველდღიურად და მისი ხსნა დგას ოპოზიციის სისუსტეზე, თორემ, პირველი და მეორე შემთხვევა ხომ არ არის, როცა „ქოცები“ შეცდომას უშვებენ და სისულელეს აკეთებენ?! როგორც პრეზიდენტის იმპიჩმენტია სისულელე, ასეთივე სისულელეა ესეც. როგორც გითხარით, ისინი დგანან ოპოზიციის სისუსტესა და მიხეილ სააკაშვილის ფაქტორზე. რამდენად მუშაობს ყოველთვის ეს ფაქტორი და რამდენად შეძლებენ ყოველთვის საკუთარი შეცდომების ოპოზიციის შეცდომებით გადაზღვევას, ამას გვიჩვენებს უახლოესი პერიოდი.

– სუსის გამოცხადებული ქრონიკები, კანონის გამკაცრება, ამერიკისთვის გამოცხადებული ბრძოლა, თითქოს ეს ყველაფერი თანხვედრაშია ერთმანეთთან? რას ცდილობენ, ან ასეთი ნაბიჯები რას მოუტანს „ოცნებას“?

– ეს დამოკიდებულია იმაზე, ჩვენ როგორ მოვიქცევით. რამდენად შევძლებთ ხალხს დავანახოთ ის რეალობა, რა რეალობაშიც ქვეყანა ჩააყენა „ქართული ოცნების“ მმართველობამ. ან რამდენად შევძლებთ იმ ფაქტორების გადაზღვევას, რომელსაც მიხეილ სააკაშვილის და ნაციმოძრაობის შიშის ფაქტორი ჰქვია! სწორედ ამის მიხედვით იქნება ამ კითხვაზე პასუხი.

– პრეზიდენტის იმპიჩმენტი ახსენეთ და საკონსტიტუციო სასამართლოში სამი დღე მიმდინარეობდა დებატები, დაარღვია თუ არა პრეზიდენტმა კონსტიტუცია. რატომ წამოიწყო „ოცნებამ“ ეს პროცესი და შეძლებენ თუ არა პრეზიდენტის იმპიჩმენტს?

– მე მგონი, საკონსტიტუციო სასამართლოში „ოცნებას“ არანაირი საფრთხე არ ემუქრება. ამის გარანტიები რომ არ ჰქონოდათ, იქ არ წავიდოდნენ, მაგრამ პარლამენტში შეძლებენ თუ არა იმპიჩმენტის ბოლომდე მიყვანას, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენს გადაიხდიან. რა ბიუჯეტია გამოყოფილი პრეზიდენტის გადასაყენებლად და დეპუტატების მოსასყიდად.

– ისე მოუმატა რიხს „ქართულმა ოცნებამ“, ალბათ პარლამენტში ოპოზიციონერი დეპუტატებისგან გარანტია მიიღოო. თქვენ თუ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ მას ექნება 100 ხმა?

– ვერ გეტყვით, სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით არ ჩანს თუ რამდენი გარანტირებული ხმა აქვს „ქართულ ოცნებას“. თუმცა, როგორც გითხარით, მე მჯერა, რომ თუ ფულს გადაიხდიან, ხმებს მოაგროვებენ. პირიქით, შესაძლოა გულდაწყვეტილი ხალხიც კი დარჩეს ოპოზიციაში, მათ რატომ არ გადაუხადეს ფული. თუმცა ასე დაბეჯითებით დღეს რომ გითხრათ, უკვე ვიცი ის ასი კაცი, ვინც პრეზიდენტის იმპიჩმენტს მხარს დაუჭერს, ეგეთ ას კაცს, ამ წუთის მოცემულობით, მე არ ვიცნობ.

– მაგრამ არ გამორიცხავთ რომ გაიყიდებიან?

– როგორ შეიძლება რამე გამოვრიცხო ჩემი კოლეგების გადამკიდე?!

– ბატონო იაგო, საუბარია იმის შესახებ, რომ თუკი ივანიშვილმა გადაწყვიტა, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს იმპიჩმენტი უნდა მოუწყონ, ამას აუცილებლად მიაღწევსო. თქვენ თუ ფიქრობთ, რომ ამ ყველაფრის ინიციატორი მართლაც ივანიშვილია და რაში დასჭირდა ეს ყველაფერი? ურჩი პრეზიდენტის დასჯა გადაწყვიტა თუ სულ სხვა თამაშია ეს?

– ვერ გეტყვით ამის მიზეზი რა არის. ძალიან ბევრი მიზეზი შეიძლება არსებობდეს, პრეზიდენტის გადაყენება რატომ უნდა უნდოდეს „ქართულ ოცნებას“. ივანიშვილის ინიციატივაა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ერთი რამ ვიცი, ივანიშვილმა თუ მოინდომა, მაშინ დარწმუნებული ვარ, მიაღწევს, მისი რესურსებიდან გამომდინარე.

– საუბარია იმაზეც, რომ დაგეგმილია სალომე ზურაბიშვილის ოპოზიციაში გადასვლა და მის ირგვლივ მესამე ცენტრის შექმნა. ამას თუ უშვებთ?

– ეს დამოკიდებულია იმაზე, მოახერხებენ თუ არა მისთვის იმპიჩმენტის მოწყობას „ქოცები“. ასევე დამოკიდებულია იმაზე, რამდენს გადაიხდიან ქოცები და რა უნდა ქალბატონ ზურაბიშვილს.

– კანდიდატის სტატუსის მოლოდინშია ქვეყანა. რამდენად გვაზარალებს ეს პროცესები? რა მოლოდინი გაქვთ თქვენ?

– რომ გვაზარალებს, ეს ფაქტია. ბორელმა ოპოზიციასთან შეხვედრისას ღიად განაცხადა, რომ ახლა ამის დრო არ იყო. როდესაც ის ადამიანი გეუბნება ამას, ვინც სტატუსი უნდა მოგცეს, შეუძლებელია, რომ ვერ დაინახო პროცესის დაზიანების ელემენტები. კითხვის ნიშანი ბევრია, მაგრამ დავიტოვოთ იმედი, რომ ყველაფერი კარგად იქნება, იმის მიუხედავად, თუ როგორ იქცევა ჩვენი მთავრობა.

იაგო ხვიჩია: „საკონსტიტუციო სასამართლოში „ოცნებას“ არანაირი საფრთხე არ ემუქრება“

პარლამენტმა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში ცვლილება მიიღო

პარლამენტმა, მესამე მოსმენით, დაჩქარებული წესით, 74 ხმით, 22-ის წინააღმდეგ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში ცვლილება მიიღო.

კანონის თანახმად, შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს ეკრძალებათ მოაწყონ დროებითი კონსტრუქცია, თუ მისი მოწყობა საფრთხეს უქმნის შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს ან სხვა პირებს, ხელს უშლის პოლიციის მიერ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას, იწვევს საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირების შეფერხებას, მისი მოწყობის გარეშე არსებითად არ ფერხდება შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება ან/და მისი მოწყობა შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებას არ უკავშირდება.

როგორც კანონპროექტის ერთ-ერთმა ინიციატორმა, გივი მიქანაძემ განაცხადა, ცვლილება ზუსტად იმ სტანდარტის პარალელურია, რაც დადგენილია კონსტიტუციით, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთი პრეცედენტული გადაწყვეტილებით.

– ოპოზიციის ნაწილი საზოგადოებას ყველაფერს უხატავს ისე, რომ თითქოს ყველანაირი კონსტრუქცია იკრძალება, მანიფესტაცია იკრძალება, შეკრებები იკრძალება, თითქოს გამოხატვის თავისუფლება მაქსიმალურად იზღუდება ან საერთოდ ეს უფლება ჩამორთმეული აქვს. ძალიან კარგად იცით, რომ ეს ასე არ არის. როდესაც ვსაუბრობდით ამ კონკრეტულ კანონპროექტზე, ვსაუბრობდით მოქმედი კანონის დახვეწაზე, კონკრეტული კრიტერიუმების შემოტანაზე, კონტროლის მექანიზმის არსებობაზე და მოქმედების კონკრეტულ პროცედურულ ნაწილზე, – აღნიშნა გივი მიქანაძემ.

პარლამენტმა, ასევე, მესამე მოსმენით, 75 ხმით, 20-ის წინააღმდეგ მიიღო თანმდევი პროექტი, რომელიც „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანას ითვალისწინებს.

ცვლილების თანახმად, შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის კონკრეტული ნორმების დარღვევისათვის გათვალისწინებულ სანქციებს დაემატა ახალი სანქცია -სამართალდარღვევის საგნის კონფისკაცია.

პაატა მანჯგალაძე: „შეშაც აკრძალეთ, კონსერვის ქილაც...“

– შეშაც აკრძალეთ, ჩაწერეთ შიგნით, რომ შეშის შეტანაც აკრძალულია. აკრძალეთ კონსერვის ქილა, შიათ ადამიანებს – ხოლმე აქციაზე. დაწერეთ, რომ შეშის შეტანა არის აკრძალული. მერე ჩაკეტეთ შემოსავლელები, ყველა მხრიდან ალყა დაარტყით და გადაუკეტეთ წყალი ხალხს, – ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ დეპუტატმა პაატა მანჯგალაძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, სადაც „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვა მიმდინარეობს.

– განხილვებისა და იმ შენიშვნების მერე, რაც ოპოზიციას, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ჰქონდათ, არაფერი გაზიარებული არაა. როგორც არის, ასე უნდა მივიღოთ ეს ყველაფერი? მინდა გაგახსენოთ, რომ 1988 წელსაც, იმდროინდელ უზენაეს საბჭოს ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ მიღებული აქვს მსგავსი რეგულაცია, მაგრამ ვერ უშველა იმ დროს ამ რეგულაციამ.

თუ ბოლომდე ამბობთ და მიზანი არის, რომ სიცივეში ადამიანი არ დარჩეს მუდმივი პროტესტის პირობებში, ეს არის სინამდვილეში მიზანი, რომ მუდმივი პროტესტის პირობებში ადამიანი არ იყოს კარავში, გაიყინოს გარეთ. მაშინ შეშაც აკრძალეთ, ჩაწერეთ შიგნით, რომ შეშის შეტანაც აკრძალულია. აკრძალეთ კონსერვის ქილა, შიათ ადამიანებს – ხოლმე აქციაზე. დაწერეთ, რომ კონსერვის ქილის შეტანა არის აკრძალული. მერე ჩაკეტეთ შემოსავლელები, ყველა მხრიდან ალყა დაარტყით და გადაუკეტეთ წყალი ხალხს. ეს რეგულაცია შემოგაქვთ თქვენ. ეს მუხლი ნიშნავს ამას. ვინ უნდა განმარტოს კონსტრუქცია რა არის?

პოლიციელი განსაზღვრავს, რას ჩათვლის კონსტრუქციად? მანამდეც მიგჭონდათ, ჩანაწერი არ გქონდათ ისე იტაცებდით კარვებს. ჩვენი კარავი გაქვთ წაღებული, საიდანაც სამედიცინო საშუალებების დარიგება ხდებოდა მიტინგზე დაშავებული ადამიანებისთვის. პოლიციელი გააკეთებს დისკრეციას, რა მოეჩვენება დროებით კონსტრუქციად?! – განაცხადა პაატა მანჯგალაძემ.

„ციციკორე“ – დავით უსუფაშვილი ირაკლი კობახიძეზე

„ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი დავით უსუფაშვილი ირაკლი კობახიძის რეპლიკას მაია კოპალეიშვილის მიმართ, რომელსაც კობახიძემ წინა ხელისუფლების დროს იუსტიციის მინისტრის მოადგილედ მუშაობა შეახსენა, ეხმაურება და ამბობს:

– ახლა პარლამენტში ტრიბუნასთან დგას გივი მიქანაძე, რომელიც ასევე მოადგილე იყო ადეიშვილის და იუსტიციის მინისტრების, სააკაშვილის დროს.

კობახიძისთვის იუსტიციის მინისტრის მოადგილე მიქანაძე მისაღებია და კოპალეიშვილი, რომელიც სააკაშვილის დროს დაინიშნა სადღაც, ეს მიუღებელია, ესაა კრიტერიუმი და სტანდარტი?! თუ ის, რომ კოპალეიშვილის არგუმენტებს შეეწინააღმდეგოს, თუ აქვს არგუმენტები თავად. მაგრამ ის დღეს ჩვენი დროის ციციკორეს როლშია შესული, რომ ყველას და ყველაფერს განსჯის, ისიც თქვა, ჩუგოშვილს რატომ უსმენთ, პოლიტიკურად მიკერძოებულიაო და კობახიძე პოლიტიკურად მიუკერძოებელია?!

ირაკლი კობახიძე: „ქალბატონმა ევამ 7 კითხვა, ინგასავით 7-ჯერ ისროლა, მოგარტყათ, მაგრამ თქვენ არ უპასუხეთ“

– სადაც კი პრეზიდენტი წარდგება, ის ყველგან წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს. ამას ეხებოდა ქალბატონი ევას 7 კითხვა. ინგასავით 7-ჯერ ისროლა, მოგარტყათ, მაგრამ თქვენ არ უპასუხეთ, – ასე მიმართა პრეზიდენტის საიმპიჩმენტო წარდგინების ერთ-ერთმა ავტორმა, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე პრეზიდენტის წარმომადგენლებს.

– მოლაპარაკებებში არ იგულისხმება რაიმე კონკრეტული ტიპის მოლაპარაკებები. კონსტიტუცია არ აზუსტებს. შეიძლება სადღაც იყოს დაზუსტებული, მაგალითად, კანონში ეწეროს „მოლაპარაკებები ხელშეკრულების დადების მიზნით“. შეიძლება ასეთი რამ იყოს.

რეალურად, მოლაპარაკებებში იგულისხმება ნებისმიერი შედეგები, რომელსაც, როგორც თქვენც აღნიშნეთ, უნდა ჰქონდეს კონკრეტული სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგი. თქვენს სიტყვებს ვციტირებ.

ნებისმიერი საუბარი, დიალოგი, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული პოლიტიკური ან სამართლებრივი შედეგის დადგომას, თავისი შინაარსით არის მოლაპარაკება, – განაცხადა კობახიძემ.

– ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს იყო არა მხოლოდ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება, არამედ მოლაპარაკებებიც და რატომ? იყო საუბარი ორ მხარეს შორის.

აქეთ იყო საქართველოს პრეზიდენტი, მეორე მხარეს იყო მეორე ქვეყნის, ევროკავშირის პრეზიდენტი.

საქართველოს პრეზიდენტი შესაბამის თანამდებობის პირებს კონკრეტული მიზნით ესაუბრებოდა და ეს მიზანი იყო ძალიან კონკრეტული – კანდიდატის სტატუსის მინიჭება. კანდიდატის სტატუსის მინიჭება არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგი და სამართლებრივიც, – განაცხადა კობახიძემ.

აშშ-მ უკრაინას ირანული იარაღი გადასცა

აშშ-მ უკრაინას კონფისკირებული ირანული იარაღი გადასცა. ამის შესახებ იუწყება რადიოსადგური „ამერიკის ხმა“. იარაღი, რომელიც უკრაინას გადასცეს, მოიცავს რაკეტებს, საბრძოლო მასალებს და დრონებს.

პრეზიდენტი ზელენსკი უკრაინის სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს შეხვდა

უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი თავისი ქვეყნის სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს შეხვდა. თათბირს ესწრებოდნენ უკრაინის უშიშროების სამსახურის, სამხედრო დაზვერვის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელები.

თათბირზე განიხილეს რუსი ოკუპანტების მოსალოდნელი საპაერო დარტყმები, აგრეთვე ის, თუ როდის, რა მიმართულებით აპირებენ რუსები კონტრშეტევას. დასახულ იქნა კონტრლონისძიებების გეგმები.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი

რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 599-532-690

დირექტორი – ზურაბ ბერიძე

გაფრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge

ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com

ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სალომე ზურაბიშვილი აუცილებლად გახდება აქტიური პოლიტიკური ლიდერი“

ვახტანგ ძაბირაძე: „ხელისუფლება პოლიტიკურად ძალიან წამგებიან პოზიციაზეა... პრეზიდენტი, იმპიჩმენტის პროცედურით, საქართველოში ჯერ არ გადაუყენებიათ“

ნათია ხურციძლავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესის განხილვა თქვენზე რა შთაბეჭდილებას ტოვებს?

– როგორც მოსალოდნელი იყო, პროცესი ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს. რთულად მიმდინარეობს. ძალიან შორს არის იმ სტანდარტისგან, რაც უნდა იყოს. თუ პროცესი იმავე დარბაზში შეწყდება და არ გადავა პარლამენტში, ეს იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს იმიჯისთვის ძალიან კარგი, მაგრამ ეს მხოლოდ ოცნება შეიძლება იყოს. რეალობა სულ სხვა რამეს გვიჩვენებს. ხელისუფლება ეცდება მეტი ზეწოლა განახორციელოს და პროცესი პარლამენტში გადაიყვანოს. როგორც ვიცი, 6 მოსამართლის დადებითი დასკვნის შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას პარლამენტი მიიღებს.

– მოსამართლეებისგან განსხვავებულ დასკვნას ელოდებით?

– იმედი მაქვს, რომ მთლად ერთსულოვან დასკვნას არ დადებს სასამართლო კოლეგია. ეს ძალიან ცუდი იქნება. მოლოდინი მაქვს, რომ თავის განსხვავებულ დასკვნას 4 მოსამართლე მაინც გააცნობს საზოგადოებას. მით უფრო, როდესაც ძალიან მაღალია საზოგადოების ინტერესი. საქართველოში პრეზიდენტების ბედი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული იყო. ზოგი როგორ ასრულებდა საპრეზიდენტო ვადას და ზოგიც ძალიან ტრაგიკულად, მაგრამ პრეზიდენტი იმპიჩმენტის პროცედურით საქართველოში ჯერ არ გადაუყენებიათ. ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანი პროცესია.

– ამბობენ, რომ „ქართულ ოცნებას“ 103 ხმა უკვე მობილიზებული აქვს. განხორციელდება იმპიჩმენტი?

– თუ იმპიჩმენტი მოხდება და პრეზიდენტს გადააყენებენ, ეს ძალიან ცუდი იქნება „ქართული ოცნებისთვის“. ხელისუფლება პოლიტიკურად ძალიან წამგებიან პოზიციაზეა. თუ ამას დაემატება ევროკავშირის მხრიდან სტატუსთან დაკავშირებით უარყოფითი შუალედური დასკვნა, ეს იქნება კატასტროფა. ორშაბათს უკვე გვეცოდინება დასკვნის შესახებ ინფორმაცია. შემდეგ უკვე, დეკემბრის ბოლოს, კანდიდატი ქვეყნის სტატუსზე საერთოდ თუ უარს გვეტყვიან, მერე უკვე არაფერი უშველის „ოცნებას“.

– კობახიძემ პროცესზე განაცხადა, რომ პრეზიდენტი აქამდეც არღვევდა კონსტიტუციას, მაგრამ პოლიტიკური მიზანშეწონილობით ვმოქმედებდითო. როგორ ფიქრობთ, რეალურად რა პოლიტიკა შეიძლება იდგეს ამ ყველაფრის უკან?

– ძალიან რთული სათქმელია, რატომ გადაწყვიტეს მაინცდამაინც ახლა დაეწყოთ იმპიჩმენტის პროცედურა. თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ რამდენიმე მიზეზია, გადაწყვეტილება, როგორც ჩანს, კომპლექსურია.

პირველი, „ქართული ოცნება“ მოქმედებას იწყებს მაშინ, როდესაც საქართველოსთან მიმართებით დასავლეთმა, კონკრეტულად ევროკავშირმა, გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. თუ გახსოვთ, ნიკა გვარამიას დაპატიმრება უსწრებდა წინ სტატუსის მონიჭება-არ მონიჭების გადაწყვეტილებას. გვარამიას დაკავება ორი თვით რომ გადაეწიათ, ქვეყანა დაიქცეოდა?! ხომ არაფერი მოხდებოდა! არა, მაინცდამაინც თითქოს განზრახ მიიღეს დაკავების გადაწყვეტილება.

მეორე, შარლ მიშელის პოლიტიკური შეთანხმება ისე გამოაცხადა „ქართულმა ოცნებამ“ ანულირებულად, რომ მიშელი, თუ არ ვცდები, საქართველოს საზღვრებს არ იყო გაცდენილი. თან, ამ ყველაფერს ისე აკეთებს ხელისუფლება, რომ მშვენივრად იცის, რა რეაქცია მოყვება ამას ევროკავშირის მხრიდან. თითქოს განზრახ კეთდება ეს ყველაფერი.

მესამე, ბორელმა სრულიად ღიად და მკაფიოდ გვითხრა, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ წაადგება ევროკავშირისკენ მიმავალ გზას. „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო გადაწყვეტილება, თან რა მოტივით, ამასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, და მაინც დაიწყო იმპიჩმენტის პროცესი. თითქოს, ეს ყველაფერი გეგმაზომიერად ხდება. ჩვენი დასავლელი პარტნიორები გვეუბნებიან სრულიად ღიად და აშკარად, თუ რა შედეგები ექნება ამას და მიუხედავად ამისა, მაინც მიდის ამაზე ხელისუფლება. ამიტომ, ყველაფერი გასაგებია.

– თუ იმპიჩმენტი მოხდება და სალომე ზურაბიშვილს გადააყენებს „ოცნება“, მერე რა ხდება?

– სალომე ზურაბიშვილს დასავლეთის ღია მხარდაჭერა აქვს. ჩვენი დასავლელი პარტნიორები უპირობოდ უჭერენ მხარს. ბოლო პერიოდში ზურაბიშვილის მიმართ ქვეყნის შიგნითაც, მოსახლეობაში მხარდაჭერა გაიზარდა. მისი რეიტინგი ახლა მაღალია.

სალომე ზურაბიშვილი დღეს არის რეიტინგული პოლიტიკური ფიგურა ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც. ეს გააკეთა „ოცნებამ“ თავისი ნაბიჯებით. ამიტომ, მე გამოვრიცხავ, რომ გადაყენების შემთხვევაში სალომე ზურაბიშვილი პარიზში, სახლში წავიდეს და მემუარების წერა დაიწყოს. ის აუცილებლად გახდება აქტიური პოლიტიკური ლიდერი და მესამე ცენტრის ფორმირებას დაიწყებს. ეს ის არის, რაც ყველაზე მეტად არ უნდა აწყობდეს „ქართულ ოცნებას“, მაგრამ ამას საკუთარი ხელით აკეთებს.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ევროპელი კოლეგების მხრიდან საჭიროა გადაიდგას შემდგომი ნაბიჯი და ქვეყანამ მიიღოს დამსახურებული კანდიდატის სტატუსი, ეს არის ჩემი მთავარი გზავნილი გრანადაში“

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ესპანეთის ქალაქ გრანადაში იმყოფება, სადაც ევროპის პოლიტიკური გაერთიანების რიგით მესამე სამიტში მონაწილეობს.

ირაკლი ღარიბაშვილი ევროპის პოლიტიკური გაერთიანების (EPC) პლენარული სესიის გახსნის ღონისძიებას დაესწრო.

სამიტის პლენარული სესია გახსნა ესპანეთის სამეფოს პრემიერ-მინისტრმა პედრო სანჩესმა. მან ევროპის პოლიტიკური გაერთიანების მონაწილე სახელმწიფოების ლიდერებს სიტყვით მიმართა.

რიგით მესამე სამიტს 47 ევროპული ქვეყნის ლიდერი და ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტის ხელმძღვანელები ესწრებიან.

– ევროპელი კოლეგების მხრიდან საჭიროა გადაიდგას შემდგომი ნაბიჯი და ქვეყანამ მიიღოს დამსახურებული კანდიდატის სტატუსი, ეს არის ჩემი მთავარი გზავნილი გრანადაში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ესპანეთში, ევროპული პოლიტიკური გაერთიანების მესამე სამიტის დაწყებამდე, ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ სამიტის ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხი გეოპოლიტიკური გარემო და რეგიონში არსებული რთული ვითარება იქნება.

– ჩვენ მართლაც სპეციფიკურ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ეს ჩვენმა კოლეგებმაც ძალიან კარგად იციან, რომ ჩვენი ქვეყნის 20% არის ოკუპირებული, ამ მხრივ, ჩვენ განვსხვავდებით სხვა ქვეყნების მდგომარეობისგან, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, მთავარი საზრუნავი ახლა უნდა იყოს შემდგომი ნაბიჯის მიღება, რაც არის კანდიდატის სტატუსის მინიჭება.

– ჩვენ არ გვაქვს არც ნატო-ს ქოლგა, ასე ვთქვათ, არავითარი უსაფრთხოების გარანტიები ქვეყანას არ გააჩნია.

ჩვენ არ ვართ არც ევროკავშირის წევრი ქვეყანა, შესაბამისად, ჩვენს ქვეყანას უწევს საკმაოდ გონივრულად მანევრირება ამ ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც სავსე არის ამ ტურბულენტობით, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენ მოვახერხეთ, მას შემდეგ, რაც ეს კონფლიქტი, ომი დაიწყო უკრაინაში, საკმაოდ გონივრულად მანევრირება, მე ასე ვიტყოდი. რაც მთავარია, ერთი მხრივ, ჩვენ ვიცავთ მტკიცედ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, უსაფრთხოებას და მეორე მხრივ, ვართ კოორდინაციაში ჩვენს საერთაშორისო თანამეგობრობასთან, მხარს ვუჭერთ უკრაინას და უკრაინელ ხალხს და ვფიქრობ, რომ ჩვენი მთავარი საზრუნავი ახლა უნდა იყოს შემდგომი ნაბიჯის მიღება, რაც არის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, შიდა და გარე მტრები საბოტაჟის რეჟიმში არიან გადასულები, რომ ქვეყანამ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ევროკომისიის პრეზიდენტთან საუბარში მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, რის გამოც პოლარიზაცია არის გაზრდილი, კანდიდატის სტატუსის საკითხია და საქართველოსთვის სტატუსის მინიჭება ავტომატურად, დრამატულად შეამცირებს პოლარიზაციის ხარისხს.

– მე მქონდა ძალიან პოზიტიური შეხვედრა ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენთან, ევროკომისიის პრეზიდენტთან, რომელსაც მე მივაწოდე ინფორმაცია 12 რეკომენდაციის შესრულების თაობაზე. ქალბატონმა ურსულამ გვითხრა, რომ ისინი პოზიტიურად აფასებენ ზოგადად იმ პროგრესს, რომელსაც ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია.

ასევე, რა თქმა უნდა, მისი მხრიდან მოწოდება იყო, რომ რეფორმები გაგრძელდეს, უნდა მივიყვანოთ ბოლომდე. მე მას ვუთხარი, რომ, რა თქმა უნდა, ჩვენი მთელი გუნდი, ხელისუფლება არის სრულად მობილიზებული, ჩვენ ვართ ვალდებულნი და სრული თანხვედრა გვაქვს, რომ ეს პროცესი მივა ბოლომდე. მე მას ვუთხარი, რომ ამ რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი უკვე არის შესრულებული.

დარჩენილია რამდენიმე რეკომენდაციის დაბოლოება, დასრულება, რომელთა ნაწილიც გადაიგზავნა ვენეციის კომისიაში, იცით თქვენ. ასევე ვუთხარი, რომ ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, რის გამოც პოლარიზაცია არის გაზრდილი, არის კანდიდატის სტატუსის საკითხი.

მე მას ვუთხარი, რომ სტატუსის მინიჭება ავტომატურად, დრამატულად შეამცირებს, დაადგებს ამ პოლარიზაციის ხარისხს, რაშიც ევროპელი ლიდერები გვეთანხმებიან. იცით, რომ სწორედ ჩვენი ხელმოცარული ოპოზიცია, რომელიც გადასულია საბოტაჟის რეჟიმში იმიტომ, რომ მათ არაფერი სათქმელი არა აქვთ მთავრობის საწინააღმდეგოდ არც ერთ თემაზე, არც ეკონომიკაზე, არც განვითარებაზე, არც დემოკრატიის ხარისხზე. ერთადერთი, რის გამოც ისინი მანიპულირებენ და სპეკულაციებს და დეზინფორმაციას ავრცელებენ მთელ მსოფლიოში და ევროპაში, მათ შორის, არის კანდიდატის სტატუსი, რაც თავიდან ბოლომდე ხელისუფლების გაკეთებულია.

ყველა ეს რეფორმა ჩვენი შესრულებულია და ოპოზიციას არაფერი არ გაუკეთებია ამ პროცესში, ისევე, როგორც არ გაუკეთებია არაფერი ქალბატონ პრეზიდენტს. მე მადლიერება მინდა გამოვხატო ქალბატონი ურსულა ფონ დერ ლაიენის მიმართ, რომელმაც გვითხრა, რომ ის მაქსიმუმს გააკეთებს, რომ ამ პროცესში ადეკვატურად დაფასდეს საქართველოს პროგრესი, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, საქართველო წინ უსწრებს იმ ქვეყნებს, რომლებიც დღეს არიან სტატუსის ქვეშ.

– მივიღე მნიშვნელოვან დისკუსიაში მონაწილეობა, ეს იყო მრგვალი მაგიდის ფორმატი და დისკუსია შეეხებოდა მულტილატერალიზმს, ასევე, გეოსტრატეგიულ საკითხებს და ამ კონტექსტში, რა თქმა უნდა, ჩვენ უსაფრთხოების საკითხები მიმოვიხილეთ, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ბუნებრივია, საკითხი ეხებოდა უკრაინის ომს და მის გავლენებს რეგიონზე, მათ შორის, ჩვენს რეგიონში მიმდინარე სიტუაციას და ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს, რომელიც ეხება აზერბაიჯანსა და სომხეთს.

– ასევე, მათ მივაწოდე ინფორმაცია დღეს დილით გავრცელებული ინფორმაციის თაობაზე. იცით, რომ გახდა ცნობილი, რუსეთი აპირებს უკვე მე-3 სამხედრო ბაზის, ამ შემთხვევაში, საზღვაო ბაზის მშენებლობას ჩვენს ტერიტორიაზე, რა თქმა უნდა, ჩვენი ნებართვის გარეშე. ეს არის ოკუპაციის შედეგი. ეს არის ოკუპაციის გაგრძელება, რა თქმა უნდა, ჩვენ ასე აღვიქვამთ ამ უკანონო გადაწყვეტილებას, ბუნებრივია. მათ ვუთხარი, რომ ეს კიდევ უფრო აუარესებს ამ სიტუაციას, რომელიც თან ახლავს ოკუპაციას. ყველამ კარგად იცის, რომ საქართველო არის და მე ამის თაობაზე მძაფრად აღვუწერე ჩვენი სიტუაცია, რომ ჩვენ ვიმყოფებით მეტად სპეციფიკურ სიტუაციაში, ვინაიდან ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი არის ოკუპირებული და ამ ყველაფრის გათვალისწინებით ქვეყანა ახერხებს განვითარებას, წინსვლას, რეფორმებს ისე, რომ ინარჩუნებს მშვიდობას და სტაბილურობას, ამას მართლაც მოხერხება სჭირდება და ჩვენ მართლაც გვაქვს სათქმელი ამ მიმართულებით.

ასევე, მინდა გითხრათ, რომ მქონდა მნიშვნელოვანი ორმხრივი შეხვედრებიც ევროპელ ლიდერებთან. მე მათ ანალოგიურად მივაწოდე ინფორმაცია ამ მიღწეულ პროგრესზე და მათგან, ყველა ევროპელი ლიდერისგან, მივიღე დასტური იმის თაობაზე, რომ ისინი მხარს დაუჭერენ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას.

ასევე ვუთხარი, რომ თუ სტატუსს ქვეყანა არ მიიღებს, ეს იქნება აბსოლუტურად გაუგებარი, ეს იქნება შეურაცხყოფა ჩვენი ქართველი ხალხის, ეს იქნება დაუმსახურებელი, ასე ვთქვათ, მორიგი მცდელობა, რომ ქვეყანა დაჩაგრონ ან უსამართლოდ მოექცნენ და მოეპყრონ. ეს იქნება აბსოლუტურად მიუღებელი და, რაც მთავარია, ბოლო მესიჯი, რაც მე მათ ვუთხარი, რომ ეს იქნება პირდაპირი გზავნილი, თუნდაც იგივე რუსეთისთვის და სხვა ქვეყნებისთვის, ზოგადად, რეგიონისთვის ან იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ცდილობენ, რომ დაახლოვდნენ ევროკავშირთან.

ამ საკითხებზე გვქონდა ჩვენ საუბარი და ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი მონაწილეობა ამ ფორუმში, – განაცხადა პრემიერმა.

სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმებს ყარაბაღის მოვლენების გამეორება აფრთხობთ

„ლავროვის სიტყვებში იკითხებოდა, რომ რუსეთი ბოლომდე არის მათთან, ვინც რუსეთთანაა“

მარიამ მჭედლიშვილი

ექსპერტები აგრძელებენ მსჯელობას, თუ რისთვის დასჭირდა რუსეთს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების წარმომადგენლებთან მორიგი (ნაჩქარევად ორგანიზებული) შეხვედრა.

უცხოელი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ რუსეთის გავლენა უკიდურესად შესუსტდა როგორც სამხრეთ კავკასიაში, ისე ცენტრალურ აზიაში, განსაკუთრებით – ყაზახეთში. არაერთხელ გაისმა, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიიდან გადის.

ამის თქმის საბაბი გახდა სომხეთის დასავლეთისკენ გადადგმული ნაბიჯები და ყაზახეთის პრეზიდენტის რუსეთის საწინააღმდეგო განცხადებები. ცნობილია, რომ უსაფრთხოების საკითხებში რუსეთის იმედად მყოფმა სომხეთმა სრული კონტროლი დაკარგა უკვე გაუქმებულ ყოფილ მთიან ყარაბაღზე. რუსეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა.

რუსეთის მიმართ საქართველოს ხელისუფლების (პრეზიდენტის გარდა) ლოიალური დამოკიდებულება არანაირად არ აისახება ოკუპანტი სახელმწიფოს პოლიტიკაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. კრემლი დროდადრო ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიითაც იმუქრება.

ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისათვის ოკუპანტი სახელმწიფოს ოფიციალურ პირებს გახურებული ომის დროსაც სცალიათ. საგარეო მინისტრმა ლავროვმა 3 ოქტომბერს სოჭში შეხვედრები მოუწყო ასლან ბჟანიას, ალან გაგლოევს და ამ რეჟიმების ე. წ. საგარეო მინისტრებს. გაისმა ტრადიციული და შაბლონური ფრაზები რუსეთიდან დახმარების გაგრძელების, ასევე სამხედრო და უსაფრთხოების საკითხებში მჭიდრო თანამშრომლობის თაობაზე.

კრემლის წარმომადგენლები ამ შეხვედრებს საოკუპაციო რეჟიმების ხათრით და აფხაზებისა და ოსების სიყვარულით არ მოაწყობდნენ. აშკარაა, რომ რუსეთს უნდა სამხრეთ კავკასიასთან თავისი კავშირის დემონსტრირება.

• • •

„ოსებს რუსეთის რეგიონიდან გასვლის ეშინიათ“

ოსი ბლოგერი ალიკ ფუხაევი საუბრობს პანიკურ მდგომარეობაზე, რომელშიც ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა აღმოჩნდა ყარაბაღის (არცახის) მოვლენების შემდეგ. ის იყენებს უკანონო ტერმინოლოგიას.

– საზოგადოებაში იზრდება განგაში. ადამიანები ფიქრობენ, არცახის შემდეგ ხომ არ იქნება შემდეგი სამხრეთი ოსეთი? ამ განწყობებს აღვივებს დისკუსიები სოციალურ ქსელებში, ასევე, გარკვეული ექსპერტების მოსაზრებები რუსეთის მოსალოდნელ გასვლაზე რეგიონიდან. ბევრი ელოდა დამაიმედებელ განცხადებებს რუსეთიდან, – აღნიშნავს ბლოგერი.

მისი შეფასებით, სოჭში გამართული შეხვედრები მეტწილად რიტუალური მოქმედებები იყო. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტებმა მხარდაჭერა გამოუცხადეს სპეციალურ სამხედრო ოპერაციას და განაცხადეს, რომ რუსეთის ერთგულ მოკავშირეებად რჩებიან. რუსეთი კი, საგარეო საფრთხეების მიუხედავად, აგრძელებს დაწყებულ თანამშრომლობას.

– სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთი რესპუბლიკებს (აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს) არ დატოვებს დახმარების გარეშე, ეკონომიკური სიძნელეების მიუხედავად, გააგრძელებს ფინანსურ პროგრამებს. ლავროვის სიტყვებში სტრიქონებს შორის იკითხებოდა, რომ რუსეთი ბოლომდე არის მათთან, ვინც, თავის მხრივ, რუსეთთანაა. მომეჩვენა, რომ ეს არის მინიშნება სომხეთსა და ყარაბაღის ისტორიაზე, – ასკვნის ოსი ბლოგერი.

ბჟანიამ კომენტარებში საქართველოს ხელისუფლებას პრაგმატული უწოდა და დააზუსტა, რომ მხედველობაში არ ჰყავს პრეზიდენტი ზურაბიშვილი.

• • •

„არ გვინდა, ასეთი რამ ჩვენთანაც მოხდეს“

ირკვევა, რომ ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის გარდა, აფხაზებიც შეშფოთდნენ. თავის დროზე აფხაზეთის ოკუპირებულ რესპუბლიკას ახლო ურთიერთობები ჰქონდა თვითმარქვია მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკასთან. ახლა „მთიანი ყარაბაღი“ აღარ არსებობს. ცოტა ხნის წინ ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. საგარეო მინისტრმა ინალ არძინბამ განაცხადა:

– სიტუაცია სწრაფად ვითარდება. ეს ხელს უწყობს ამიერკავკასიაში დაძაბულობის ზრდას. არ გვინდა, რომ ასეთი რაღაც ჩვენთანაც მოხდეს. შესაძლოა, იყოს ლტოლვილების შემოდინება, პირველ რიგში, სომხეთში. აფხაზეთში დიდი სომხური დიასპორაა, შესაძლებელია, ჩვენთანაც შემოვიდნენ. ვვარაუდობთ, რომ ეს არ იქნება მასობრივი მოვლენა. შევეცდებით, სიტუაცია მაქსიმალურად დავაბალანსოთ.

აფხაზი პუბლიცისტი იზიდა ჭანია საუბრობს იმაზე, რომ არც თბილისში და არც სოხუმში არ არიან მზად მოლაპარაკებათა ახალი ფორმატის მოსაძიებლად იმ დროს, როცა ჟენევის ფორმატმა დრო მოჭამა. აფხაზეთს ჭანია „ქვეყანას“ უწოდებს.

– საქართველოს და აფხაზეთის ხელმძღვანელობა დაკავებულია მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენის პრობლემით. მათ არ აინტერესებთ ჩვენი პატარა ქვეყნების მომავალი, რომლებიც აღმოჩნდნენ „აბრეშუმის დიდ გზაზე“. ამაზე მეტყველებს მოლაპარაკებათა პროცესის სრული სტაგნაცია. მორალურად ყავლგასული ჟენევის პროცესი ფორმატის შეცვლას საჭიროებს. ორი ქვეყნის ხელმძღვანელობას არ აქვს არც ნება და არც სურვილი, გაერიდოს ამ სცენარს და წამოაყენოს საქართველოსა და აფხაზეთს შორის პირდაპირი დიალოგის დროს მოგვარების (კონფლიქტის მოგვარების) საკუთარი ვარიანტები, – ამბობს აფხაზი პუბლიცისტი.

როგორც ჩანს, საქართველოს ოკუპირებული რეგიონები დარწმუნებული არ არიან, რომ რუსეთი მათ ბოლომდე დაიცავს და იგი უკიდურესად არ დაუძლურდება.

სამართალი

ვინ არის „კანონიერი ქურდი“, რომელიც რესტორანში მოკლეს

„კანონიერი ქურდი“ კამჩი კოლბაევი, მეტსახელად „კოლია ყირგიზი“ მოკლეს. ინფორმაციას სააგენტო Prime Crime-ი ავრცელებს.

მათივე ცნობით, „პრიმინალური ავტორიტეტის“ ლიკვიდაცია ყირგიზეთში, რესტორან Blonder Pub-ში, მოხდა.

კოლბაევი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალა. ადგილზე მისულ ექიმებს იგი უკვე გარდაცვლილი დახვდათ.

რა მოხდა დადიანის ქუჩაზე – სარდაფში ცხედარი იპოვეს

თბილისში, დადიანის ქუჩაზე, ერთ-ერთი კორპუსის სარდაფში ადამიანის ცხედარი იპოვეს. ინფორმაციას „ფორმულა“ ავრცელებს. ადგილობრივებმა პოლიციას მძაფრი სუნის გამო მიმართეს. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები და სამართალდამცველები იმყოფებოდნენ. დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

ბათუმში ახალშობილი გარდაიცვალა

ცოტა ხნის წინ ბათუმის ერთ-ერთ კლინიკაში ახალშობილი გარდაიცვალა. ინფორმაციას TV25 ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, ჩვილი მშობიარობის დროს დაიღუპა.

ამ დროისთვის სხვა დეტალები უცნობია.

დავით სარალიძის მკვლელობისთვის მსჯავრდებულმა მიხეილ კალანდიამ პრეზიდენტს შეწყალების თხოვნით მიმართა

ხორავას ქუჩაზე, დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობისთვის მსჯავრდებულმა მიხეილ კალანდიამ საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს შეწყალების თხოვნით მიმართა. აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსისთვის“ ექსკლუზიურად გახდა ცნობილი.

სააგენტოს მიერ მოპოვებულ ინფორმაციას ადასტურებს კალანდიას ადვოკატი ზურაბ თოდუა. მისი განცხადებით, მიხეილ კალანდიას მიმართ ქართულმა სასამართლოებმა პოლიტიკური ძალების ზეგავლენის შედეგად გამოიტანეს გამამტყუნებელი განაჩენი, შესაბამისად, პრეზიდენტმა ის უნდა შეიწყალოს.

– კალანდიას მიაჩნია, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი არის ის ინსტიტუტი, რომელსაც შეუძლია სამართლიანობის აღდგენის ნაწილში უდიდესი როლი შეასრულოს, რადგან თვლის, რომ მის მიმართ შერაცხული ბრალი დღემდე დაუსაბუთებელია და განაჩენი პოლიტიკურად ანგაჟირებული ძალების შედეგად საქართველოს სასამართლოზე განხორციელებული ზეწოლითაა დამდგარი. ვიდრე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს, კალანდია ელოდება, რომ ქალბატონი პრეზიდენტი თავის დისკრეციას გამოიყენებს და სამართლიანობას ნაწილობრივ მაინც აღადგენს მიხელ კალანდიას ნაწილში. პრეზიდენტმა ეს დეტალურად უნდა შეისწავლოს გარდა მის მიმდევარ ქალებს, რომლებიც მოეწონებოდა, ზოგს დედოფლად, ზოგს მოსამსახურედ აცხადებდა და მათთან სექსით იყო დაკავებული. ყველა ქალი, რომელიც ყოფილი პარლამენტარის მსხვერპლი გახდა, გათხოვილი იყო, მაგრამ იძულებულები იყვნენ, მათზე მის მიერ დაკისრებული როლები შეესრულებინათ და სექსი ჰქონოდათ.

მამაკაცი 1 ოქტომბერს დააპატიმრეს. პოლიციელების თქმით, მას დაპატიმრების დროს წინააღმდეგობა არ გაუწევია და გამოძიებასთან თანამშრომლობს.

აღსანიშნავია, რომ შრიარავონგსით 2021 წელსაც იყო დაინტერესებული პოლიცია. მაშინ ის თავს მედიუმად აცხადებდა და ამტკიცებდა, რომ მისი საშუალებით მიმდევრებს მე-4 საუკუნის წმინდანი ბოდხისატვა მაიტრეა ესაუბრებოდა. მან მაშინ მიმდევრებისგან 100 ათას ბატზე მეტის მიღება მოახერხა შემოწირულობების სახით. მოგვიანებით, რამდენიმე მიმდევარმა მის წინააღმდეგ განცხადება შეიტანა პოლიციაში, თუმცა საქმეს მსვლელობა არ მიცემია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნაჩენთან ერთად და შემდეგ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

კალანდია შერაცხულ ბრალს არ აღიარებს, მიაჩნია, რომ პოლიტიკურმა ძალებმა სასამართლოზე სამართალდამცავ ორგანოებზე ზეწოლა განახორციელეს და საპყრობილეში ამიტომ მოხვდა. ის პრეზიდენტს ამ მტკიცებულებებით მიმართავს, რომ საქმეს თავად გადახედოს და თავისი დისკრეცია გამოიყენოს სამართლიანობის აღდგენის ნაწილში. პრეზიდენტმა მიხეილ კალანდია უნდა შეიწყალოს, რადგან განაჩენი ერთადერთ ჩვენებას ემყარება, რომელიც გიორგი ჯანაშიამ მხოლოდ მას შემდეგ მისცა, რაც მას საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს და საპყრობილედან გაათავისუფლეს, – განაცხადა თოდუამ.

მისივე ინფორმაციით, კალანდიამ საპატიმროში ყოფნისას „წარჩინებით დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი და პროკურორობას გეგმავს“.

ცნობისთვის, 2017 წლის პირველ დეკემბერს, ხორავას ქუჩაზე მომხდარ შემთხვევას დავით სარალიძისა და ლევან დადუნაშვილის სიცოცხლე ემსხვერპლა. სამართალდამცავებმა დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობისთვის გიორგი ჯანაშია, მიხეილ კალანდია და გიორგი მენაბდე დააკავეს.

მიხეილ კალანდიას ქვეყნის სამივე ინსტანციის მიერ 11 წელითა და 3 თვის ვადით აქვს პატიმრობა მისჯილი, გიორგი მენაბდეს 10 წლითა და 6 თვის ვადით.

რაც შეეხება გიორგი ჯანაშიას, მან პენიტენციური დაწესებულება დატოვა. მას საპროცესო შეთანხმების საფუძველზე 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა შეფარდებული. ჯანაშია ე.წ. უდოს კომისიამ გაათავისუფლა.

დავით სარალიძესთან ერთად მოკლული მოზარდის, ლევან დადუნაშვილის საქმეზე სასჯელს გუგა ბარბაქაძე იხდის. მას თავისუფლების აღკვეთა 11 წლითა და 3 თვის ვადით აქვს მისჯილი.

პარლამენტარი სექს-სექტის ორგანიზებისთვის დააპატიმრეს

ტაილანდში პროვინცია სუკხოტხაის პარლამენტის ყოფილი წევრი კუსონ შრიარავონგსი დააპატიმრეს, რომელიც საკუთარ სექს-სექტას ხელმძღვანელობდა.

პოლიციას მიმართა ქალმა, სახელად ნიჩადამ, რომელიც მისი ერთ-ერთი მიმდევარი იყო. მისი თქმით, მან შრიარავონგსი 2019 წელს გაიცნო. მას შემდეგ მან აიძულა, 100 ათას ბატზე მეტი დაეხარჯა მისი სექტის წევრების გამოსაკვებად. გარდა ამისა, მამაკაცმა მისგან ფულიც ისესხა პირადი საჭიროებებისთვის.

ქალის თქმით, შრიარავონგსი საკუთარ თავს წინაპარი მეფეების რეინკარნაციად აცხადებდა, ხოლო

აღმოჩენილია დიდი ოდენობით არადეკლარირებული სიგარეტი



ბოლო ერთი თვის მონაცემებით, საბაჟო გამშვებ პუნქტ „სარფში“ დიდი ოდენობით არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყნის საზღვარზე კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგისა და მათი მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანების, ეჭვის საფუძველზე, დეტალური დათვალიერების შედეგად, ჯამში – 32.680 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს სანქციის სახით ჩამოერთვათ საქონელი და თითოეულს ფულადი ჯარიმა 1.000 ლარის ოდენობით შეეფარდა, ხოლო საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, 2 კანონდამრღვევ მოქალაქეს, სანქციის სახით, ჩამოერთვა საქონელი და ვინაიდან ქმედება იყო განმეორებითი, თითოეულს ფულადი ჯარიმა 3.000 ლარის ოდენობით შეეფარდა.

რა შეცდომები დაუშვა ნოე ჟორდანიამ

საქართველომ ბევრჯერ დაკარგა დამოუკიდებლობა, მაგრამ განსაკუთრებულად ტრაგიკული იყო ერთა თავისუფლების საუკუნედ გამოცხადებულ, XX საუკუნეში მოპოვებული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვა.

ამ თემასთან დაკავშირებით ბევრი დაიწერა და ითქვა. რაოდენ ბედნიერი ვიქნებოდით, 1921 წლის თებერვალში დაღვრილი ქართველთა სისხლის, მრავალი ახალგაზრდის დაღუპვის ფასად, საქართველოს მაშინ თავისუფლება და დამოუკიდებლობა რომ შეენარჩუნებინა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

აი, რა განაცხადა აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა წინამძღოლმა, გენერალმა კოტე აფხაზმა საქართველოს ეროვნული საბჭოს დახურულ სხდომაზე 1918 წელს: „იქნებ ომმა ან რევოლუციამ მოგვანიჭოს სრული თავისუფლება და თავისუფლად ამოვისუნთქოთ... ჩვენი პირი შავი ზღვისკენ, დასავლეთისკენ უნდა იყოს მიქცეული და ჩვენ უნდა უნიტარული სახელმწიფო შევქმნათ“.

ჩვენი მწერლის – გრიგოლ რობაქიძის სიტყვებსაც: „იქნება მსოფლიო ომი. ქართველ ერში ოცნება იღვიძებს: ვინ იცის, ხალხთა შეხლა-შემოხლა ისე დატრიალდეს, რომ საქართველოს განთავისუფლება ერგოს. რევოლუცია არღვევს რუსეთის იმპერიას და ქართველ მამულიშვილთა ოცნებას განამდვილების პირი უჩანს. ღრმავდება შეგნება ქართველისა – როგორც ქართველის“. მაგრამ უბედურება იყო ის, რომ მაშინ ამ ეროვნულ ძალებს აკლდათ გაერთიანება და შეკავშირება, დარაზმულობა და გვერდიერდგომა, რამაც გამოიწვია ბედის დაცინვა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და მისი დაცვა წილად ხვდათ სოციალ-დემოკრატებს. ადრე თუ დიდი ილიას გზას მივყვებოდით, 1918 წელს, როგორც გაზეთი „დროება“ იუწყებოდა: „ქართველი ერის დიდი უმრავლესობა, თითქმის მთელი დემოკრატია, სოციალ-დემოკრატების დროშას მიყვება. ამით ის გარემოება აიხსნება, რომ ქართველს ჯერ კიდევ არ გამოუცხადებია დამოუკიდებლობა“.

სოციალ-დემოკრატთა ლიდერი ნოე ჟორდანია აჭიანურებდა და აყოვნებდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რადგან გენერალ გიორგი კვინიტაძეს სიტყვებით რომ ვთქვათ: მემარცხენე შენშევიკები, ინტერნაციონალისტები, მარქსისტები და რუსოფილები იყვნენ და არ უნდოდათ რუსეთისგან ჩამოცილება. ნოე ჟორდანიამ პირველად ლენინის რუსეთის მსგავსად, ჯარისკაცთა საბჭო შექმნა, შემდეგ ამიერკავკასიის კომისარიატი, მერე ამიერკავკასიის ფედერაცია. ასე იკარგებოდა ძვირფასი დრო. ამასობაში ომიდან ცალმხრივად გამოსული რუსეთი გერმანიასთან საზავო მოლაპარაკებას აწარმებდა ბრესტ-ლიტოვსკში. იქ ჩვენი წარმომადგენლის გაგზავნის მოთხოვნაზე ასეთი პასუხი გასცა ნოე ჟორდანიას პარტიამ მამულიშვილებს: „ჩვენ რუსეთის ნაწილი ვართ და ამას ვერ გადავწყვეტთ რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეშე“.

ასეთმა ქმედებამ კი გამოიწვია ცოტა ხნის წინ დედა-სამშობლოსთან შემოერთებული ყარსისა და არტაანის ოლქების დაკარგვა, ბათუმის ოლქი კი, ეროვნული ძალების წყალობით შევინარჩუნეთ. ბოლოს, როცა დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ამ დიდებულ განძს როგორ ვუპატრონეთ და მოვუარეთ?

ჟორდანიამ არ მოინდომა რეგულარული არმიის შექმნა და პარტიის შეიარაღებულ რაზმს, ე.წ. გვარდიას – ნაკლებდისციპლინიან, სუსტი საბრძოლო ძლიერების მქონე სახალხო ლაშქარს დაეყრდნო. თუმცა, ბევრი მამულიშვილი უმტკიცებდა და უჩიჩინებდა სოციალ-დემოკრატთა ლიდერს ჯარის შექმნაზე. სამსონ ფირცხალავას სიტყვებით რომ ვთქვათ: „ჩვენი ხსნა, ჩვენი გამარჯვება ჩვენი ჯარია, ჩვენი მთავრობის გულისყური მიმართული უნდა იქნას ჯარისკენ, უნდა შევიარაღდეთ და ძლიერი ჯარი უნდა შევქმნათ“, მაგრამ ამაოდ... ასეთი ვითარების გამო, საქართველოში გერმანიის წარმომადგენელმა თავის ხელისუფლებას მისწერა: „პრემიერ-მინისტრს სახალხო გვარდია პირადად თავისი და რეჟიმის დამცველ ძალად მიაჩნია, ხოლო ჯარის მოწყობა არ ხერხდება“.

ფრონ-კრუსი წერდა: „სანამ ქართველთა ჯარის შექმნა არ მოხერხდება, მანამდე გერმანიამ საქართველო არ უნდა ცნოს“.

ნოე ჟორდანიას და მისი პარტიის საქციელში არაეროვნულობას ხედავდა გაზეთი „საქართველოც“, რომელიც 1918 წელს წერდა: „სამწუხაროდ, დამტკიცდა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატია სახელმწიფო უფლებრივ საკითხთა გადაწყვეტაში სარგებლობს ყოველი საზომით, გარდა ეროვნულისა“.

არადა, ნოე ჟორდანიას აფრთხილებდნენ და აფრთხილებდნენ, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას დაცვა უნდაო. ამის თაობაზე სამსონ ფირცხალავა 1918 წელს წერდა: „მოპოვებული თავისუფლების დაკარგვა უფრო დიდი დანაშაული და შეცოდებაა, ვიდრე თავისუფლების განუხორციელებლობა“.

ხელისუფალნი ლევან მეტრეველის სიტყვებსაც ვერ ჩასწვდნენ, რომელიც 1919 წელს წერდა: „დღესაც შეშფოთებულია საქართველოს სული. რას მოასწავებს ეს? ნუთუ საქართველოს ბედი განსაცდელშია? მსოფლიოს ძალთა შეჯახებაში საქართველოს არ ეშინია ღირსეული წვლილი დაიდოს, მხოლოდ მას ეშინია – პატარა, წმინდა სანთელივით სხვის ხატს არ შეადნეს“.

როგორ შეაკავებდა ზემოხსენებული გვარდია საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიას? გვარდია, რომელიც შტაბს არ ატყობინებდა და ისე ტოვებდა პოზიციებს... ამიტომ გაგზავნეს ფრონტზე პირტიტველა იუნკრები, სამხედრო სასწავლებლის კურსანტები, მოხალისეები. ქართველთა უმეტესობა მზად იყო დამოუკიდებლობის დასაცავად, თსუ-მაც გამოთქვა სურვილი ეროვნულ საქმეში ჩაბმულიყო. იმ დღეებში თსუ-მ ასეთი განცხადება გააკეთა:

„დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ კომიტეტს პატივი გვაქვს წერილობით გაცნობოთ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილება, მიღებული სასწრაფოდ მოწვეულს საგანგებო სხდომაზე, 16 თებერვალს 1921 წელს, ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გამო:

ა) ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები და საზოგადოდ სასწავლო ნაწილის მთელი პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფ სამშობლოს, თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვენ კომიტეტს, რათა მათი ძალა გამოიყენოს ისე, როგორც საჭიროდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის.

ბ) თსუ-ს ლაბორატორიები და სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკების კარები ღიაა ომის საჭიროებისათვის.

რექტორი – პროფესორი ივ.ჯავახიშვილი.

საბჭოს მდივნის მაგიერო, პროფესორი აკაკი შანიძე“.

მაგრამ ფუჭად ჩაიარა ამ მზაობამ, რადგან ხალხის წინამძღოლებს ეროვნული სული არ ედგათ. რუსების დამარცხებას მაინც ვერ შევძლებდითო, გვანუგეშებდნენ ზოგიერთნი.

25 თებერვლის წინა საქართველოს მდგომარეობაზე და რუსეთისათვის წინააღმდეგობის გაწევაზე ფრანგ მწერალს რემონ დიუგეს ასეთი აზრი ჰქონდა: „საქართველოს მთავრობა რუსეთის ბოლშევიკურ პარტიასთან ყველა დათმობაზე მიდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ თბილისში მოკალათებული 300 კაციანი საბჭოთა დელეგაცია პროპაგანდისტებისა და ჯაშუშების ნამდვილი ბუდე იყო და არსებობდა მათი ინტრიგების უდაო საბუთები, საქართველოს მთავრობა ვერაფერს ხედავდა. ამ მთავრობას არც წითელი ჯარის მიერ საქართველოს დაპყრობის, ხოცვა-ჟლეტისა და ქვეყანაში დატრიალებული უბედურების შემდეგ ახელია თვალი...

ქართველმა მეომრებმა მარტო მოახერხეს მტრის უკუგდება, წითელი არმია თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. საქართველოს მთავრობის ბრძანება რომ არა – შეეწყვიტათ მტრის დევნა (ეს მოსკოვის მოთხოვნით მოხდა), ყველაფერი სხვაგვარად დამთავრდებოდა“.

ასე შეეწირნენ სამშობლოს დამოუკიდებლობის დაცვას პირტიტველა ახალგაზრდები, იუნკრები და მოხალისები. რაოდენ ბედნიერი ვიქნებოდით, 1921 წლის თებერვალში, დაღვრილ ქართველთა სისხლს ჩვენი ახალგაზრდების დაღუპვის ფასად, მაშინ საქართველოს რომ შეენარჩუნებინა თავისუფლება და დამოუკიდებლობა!

ხელოვნურ კვებაზე მყოფი ბავშვი 6-ჯერ უფრო ხშირად ავადდება

ჩვილი ბავშვი მეტად უმწეოა. იგი მოითხოვს ძირითად სასიცოცხლო პირობათა შესრულებას, კვებას და მოვლას.

ბავშვს მაშინ უნდა აჭამოთ, როცა მოშივდება

უმრავლეს შემთხვევაში, როდესაც ახალშობილი ჩვეულებრივი ფიზიკური განვითარებისაა, მშობლები ბავშვს უვლიან და ზრდიან ყოველგვარი დახმარების გარეშე, თავისი ბავშვობისა და ცხოვრების მომდევნო პერიოდის მცირე გამოცდილებით. ამისთვის ისინი თითქმის არ საჭიროებენ სახელმძღვანელოებსა და მითითებებს ბავშვთა აღზრდის შესახებ. სულ სხვაა, როცა ბავშვი სუსტი, ფიზიკურად ჩამორჩენილია. მას ჩვეულებრივი გარემოც არ აქვს. მაშინ მშობლები გრძნობენ თავიანთ გამოუცდელობას და დახმარებას საჭიროებენ.

პატარა, დაბადებიდან 5-6 თვემდე, დედის რძით უნდა იკვებებოდეს. ასეთი კვება ბავშვის განვითარებისთვის საუკეთესოა და მას ბუნებრივ კვებას უწოდებენ.

ძუძუთი კვებისას ბავშვი იღებს ცოცხალ, უმ რძეს, რომელიც შეიცავს ცილებს, ცხიმებს, ფერმენტებს, ვიტამინებს და სხვა ნივთიერებებს, რაც ადვილი მოსანელებელი და შესათვისებელია. რძე ძუძუდან პირდაპირ პირში გადადის და არ არის დასვრილი მიკრობებით. ამიტომაა, რომ დედის რძეს ხელოვნურ საკვებთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს.

დედის რძის ცილები ბავშვს იცავს იმ დაავადებებისგან, რომლებიც დედას უკვე გადატანილი აქვს.

ჩვილის ხელოვნურ კვებაზე გადაყვანის შემთხვევაში ყოველთვის შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არის ცდა, რომლის შედეგი წინასწარ უცნობია. მაშ რატომ უნდა ჩაატაროს მშობელმა ისეთი ცდა, რომლის შედეგიც წინასწარ უცნობია?

ხელოვნურ კვებაზე მყოფი ბავშვი დაახლოებით 6-ჯერ უფრო ხშირად ავადმყოფობს, ვიდრე ბუნებრივ კვებაზე მყოფი.

ყველა ახალგაზრდა დედა მოვალეა შვილი კვებოს ძუძუთი. ამისთვის მან ორსულობის პერიოდშივე უნდა შეისწავლოს, როგორ მოუაროს სარძევე ჯირკვლებს, როგორ აწოვოს პირველ დღეებში, რომ ძუძუსთავზე ნახეთქები არ გაუჩნდეს, ან ანთება და დაჩირქება არ განუვითარდეს. უნდა იცოდეს, როგორი სიხშირით კვებოს ბავშვი.

თუ ბუნებრივ კვებაზე მყოფი ბავშვი წონაში ვერ იმატებს, ყველაზე ხშირად ეს დედის არასრულფასოვანი კვების შედეგია. ე.ი. მისი რძე არ შეიცავს საჭირო ნივთიერებათა საკმარის რაოდენობას. ასეთ შემთხვევაში დედამ ბავშვი ძუძუდან კი არ უნდა მოიშოროს, არამედ უნდა გადაიყვანოს დამატებით, შერეულ კვებაზე, რითაც იმ ნივთიერებების დანაკლისს შეავსებს, რომლებიც მის რძეში არ არის. შერეულ კვებაზე გადაყვანა უნდა მოხდეს ექიმის ჩარევით.

მშობიარობის შემდეგ პირველ ხანებში სარძევე ჯირკვალი გამოყოფს ე.წ. ხსენს. ხსენი ყვითელი ფერის ოდნავ წებოვანი სითხეა. ხსენთან ერთად ბავშვი დედისგან დიდძალ ფერმენტებსა და იმუნურ სხეულებს იღებს.

ხსენი ქიმიური შემადგენლობით უახლოვდება ბავშვის ქსოვილებს. ამიტომაა იგი ყველაზე შესაფერისი საკვები ახალშობილისთვის. ხსენის ცილებს შეუცვლელად შეუძლიათ გაიარონ ბავშვის ნაწლავის კედლებში.

მშობიარობის შემდეგ პირველ დღეს ხსენის რაოდენობა ძალიან მცირეა. ზოგჯერ ძუძუდან რამდენიმე წვეთის გამოწველა ხერხდება. შემდეგ დღეებში ლაქტაციის მატება სხვადასხვანაირად ხდება. უფრო ხშირად სეკრეტის რაოდენობა თანდათან მატულობს და მესამე-მეოთხე დღეს სრულ განვითარებას აღწევს. სხვა შემთხვევაში, რაც უფრო ხშირად პირველ მშობიარეებს ახასიათებთ, პირველი ორი დღის განმავლობაში რძის გამოყოფა თითქმის არ მატულობს და მხოლოდ მესამე-მეოთხე დღეზე ჯირკვლების მოცულობა უცბად იზრდება, სეკრეცია ხდება უხვი და ხსენიც სწრაფად იძენს ადრეული რძის თვისებებს. ამ მომენტს რძის მოწოლას ეძახიან.

დედის საკვები მრავალფეროვანი უნდა იყოს. მის ყოველდღიურ ულუფაში ხორცის, კარაქისა და პურის გარდა, უნდა შედიოდეს ბოსტნეული და ხილი, მინერალური მარილები და ვიტამინები, რაც მეტად საჭიროა ჩვილი ბავშვის განვითარებისთვის. მეძუძურ დედას უნდა ახსოვდეს, რომ მიღებული საჭმლიდან დედის რძეში ადვილად გადადის მცენარეული ზეთი, სპირტი, განსაკუთრებული გემოს მქონე პროდუქტები, როგორიცაა ნიორი, ხახვი და სხვ. დედა უნდა ერიდოს ასეთი პროდუქტების ჭარბ და ხშირ მიღებას. ეს იწვევს, მაგალითად, რძეში ზეთის რაოდენობის გაზრდას და ბავშვს კუჭის აშლილობა ემართება. სპირტიანი სასმელის ჭარბი მიღება კი ბავშვს ათრობს. ხახვი და ნიორი რძეს აუგემურებს და ბავშვი აღარ წოვს, არ მოსწონს.

ლაქტაციის 2-3 დღემდე შეიძლება ვილაპარაკოთ ხსენზე. მესამე დღეს – ხსენიან, ანუ ადრეულ რძეზე. მე-3-4 დღიდან – გარდამავალ რძეზე და მხოლოდ 2-3 კვირის შემდეგ რძე იძენს თავის მუდმივ შემადგენლობას. ანუ, იგი მწიფე ხდება. მწიფე რძეში ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების რაოდენობა ქმნის ოპტიმალურ თანაფარდობას მასში გახსნილი ორგანული და არაორგანული ინგრედიენტების მოსანელებლად და შესაწოვად. გარდა ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების გარკვეული რაოდენობისა, დედის რძე შეიცავს მთელ რიგ ფერმენტებს – კატალაზას, ამილაზასა და ლიპაზას.

ქალის რძის უპირატესობას უნდა მივაკუთვნოთ ისიც, რომ მასში მოიპოვება ანტისხეულები, ანტიტოქსინები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვის რეზისტენტობას სხვადასხვა ინფექციის მიმართ. ქალის რძის ლიმფოციტები კუჭ-ნაწლავის ტრაქტში მოხვედრისას ხელს უწყობენ ნაწლავთა ადგილობრივი იმუნიტეტის სტიმულირებას. დედის რძის ენერგეტიკული ღირებულებაა 700-750 კილოკალორია ლიტრზე. ქალის რძე უზრუნველყოფს ბავშვს აგრეთვე შესაბამისი ვიტამინებითა და ჰორმონებით.

მეძუძური ჯანმრთელი დედა დღე-ღამეში იძლევა 1-1,5 ლიტრ რძეს. ზოგჯერ კი 4-5 ლიტრსაც და მეტსაც.

არჩევენ კვების სამგვარ წესს. ბუნებრივს, შერეულსა და ხელოვნურს. ბუნებრივი კვება ორი ეტაპისგან შედგება. პირველი, ანუ მარტივი კვების პერიოდი, 4-6 თვემდე გრძელდება. ამ დროს ბავშვის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მოთხოვნილება საკვებზე კმაყოფილდება ძირითადად დედის რძით. მეორე, ანუ დამატებითი კვების პერიოდი, წლის მეორე ნახევარს მოიცავს, როდესაც ბავშვის შემდგომი განვითარება დედის რძის გარდა შედარებით მრავალფეროვან საკვებს საჭიროებს.

ახალშობილის პირველი მიყვანა ძუძუსთან საჭიროა არა უგვიანეს ორი საათის განმავლობაში, რაც ხელს უწყობს კარგ ლაქტაციას და ახალშობილის რეზისტენტობის მატებას. აღნიშნული მოვლენა განპირობებულია ხსენში იმუნოგლობულინ a და სხვა ანტისხეულების შემცველობით.

ლოგინობის პერიოდში დედა იძულებულია ბავშვი კვებოს წოლით მდგომარეობაში. შემდგომ კი – ჯდომით მდგომარეობაში. დაჯექით, გასწორდით და ზურგით საზურგეს მიეყრდენით. ბავშვი დაიჭირეთ გულ-მკერდის სიმაღლეზე. სჯობს, ბავშვი ასწიოთ და მკერდს მიუახლოვოთ, ვიდრე თქვენ თვითონ დაიხაროთ. შეგიძლიათ მუხლებზე ბალიში დაიდოთ და ბავშვი ზედ დააწვინოთ. ბალიში ბავშვის წონას შეგიმსუბუქებთ. ბავშვს ცალი ხელი გამოუთავისუფლეთ, რათა ძუძუს შეეხოს.

ბავშვი ძუძუს დვრილს ინსტინქტურად ეძებს. ამას ძებნის რეფლექსი ჰქვია. ამ რეფლექსს გამოიწვევთ, თუ ბავშვს თქვენსკენ მოქცეულ ლოყაზე თითს მოუსვამთ. ის თავს ძუძუსკენ მოაბრუნებს და დვრილს დაუწყებს ძებნას.

თუ ბავშვი თავს ინსტინქტურად არ აბრუნებს, ძუძუს აროლის უკან მსუბუქად მოუჭირეთ ხელი, დვრილიდან გამოსული წვეთები ბავშვს ტუჩზე მიადეთ, რათა პირი გააღოს. ბავშვის თავი ძუძუსთან მიიახლოვეთ ისე, რომ ნიკაპი ძუძუს ეხებოდეს და დვრილი პირში ჩაუდეთ.

თუ წოვის დროს ბავშვი ტკივილს მოგაყენებთ, ღრმად ისუნთქეთ და მოდუნდით. თქვენი ხედვის არედან ძუძუზე პირმოკიდებული ბავშვის ყბები ფართოდ იქნება გახსნილი. თუ დაინახავთ, რომ საფეთქლები და ყურები უმოძრავებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ყბის კუნთები კარგად უმუშავებს. ე.ი. მადიანად წოვს.

ძუძუს წოვისას ბავშვის ყბების მოქმედება სტიმულს აძლევს სარძევე ჯირკვლებს, რათა დაგროვილი რძე გამოუშვას. წოვის დაწყებიდან ცოტა ხანში შეიძლება რძის თბილი მოწოლა იგრძნოთ. ეს ჩხვლეტასავით შეგრძნებაა. თუმცა ამას ყველა ვერ გრძნობს. თუ რეფლექსის გამო რძე მეორე ძუძუდანაც წამოგვიდათ, დვრილზე სპეციალური ძუძუს საფენი მიიდეთ.

ბავშვმა იმდენ ხანს უნდა წოვოს, რამდენი ხანიც სურს. ეს დრო საშუალოდ 15-20 წუთი, ზოგჯერ კი 30 წუთი და მეტიც გრძელდება. დაცლილი ძუძუ შეგიმსუბუქდებათ. როდესაც იგრძნობთ, რომ ბავშვი რძეს აღარ იღებს ძუძუდან (ზოგჯერ იძინებს), შეაფხიზლეთ, მოიცილეთ და დააბოყინებინეთ.

ძუძუს წოვის შემდეგ დაბოყინება აუცილებელი აქტია. დაბოყინებისთვის საკმარისია, ბავშვი რამოდენიმე წუთი ვერტიკალურად გეჭიროთ. დაბოყინების აქტით ბავშვს წოვის დროს ჩაყლაპული ჰაერით გამოწვეული შებერვისგან დაიცავთ. უმჯობესია, თუ ბავშვს კვების ერთ ჯერზე ერთ ძუძუს მისცემთ. თუმცა თუ ერთი არ ეყო, მეორეც მიეცით.

აშშ-ის კონგრესის სპიკერი გადააყენეს

აშშ-ის კონგრესში ბობოქარი მოვლენები გრძელდება. ყველაფერი ე.წ. დროებითი ბიუჯეტის დამტკიცებით დაიწყო. ტრამპის მიმდევრები კონგრესში ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ. ეს გასაგებია. სერ დონალდს ხომ ციხე ემუქრება და მისი ერთადერთი ხსნა აშშ-ის პრეზიდენტად არჩევაა.

გათვლა მარტივია: შათდაუნი ბიუჯეტის დამტკიცების ჩაშლას ნიშნავს. შედეგად სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული მილიონამდე ადამიანი უსახსროდ რჩებოდა. ტრამპიც სწორედ ამისკენ მიისწრაფოდა. თავისი განზრახვის შესრულებისთანავე ის ერს მიმართავდა: აი, რა მოუტანა ამერიკას ბაიდენის პოლიტიკამ! ტრამპს იმედი ჰქონდა, რომ უკმაყოფილების ტალღის აზვირთება აიძულებდა დემოკრატებს, ვადამდელ არჩევნებს დათანხმებოდნენ. ტრამპი დარწმუნებული იყო, რომ ფონი, რომელიც ამის შემდეგ შეიქმნებოდა, მას ხელისუფლებაში მოსვლაში დაეხმარებოდა.

როგორც ცნობილია, შატდაუნი ჩავარდა. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა რესპუბლიკელთა ერთ-ერთმა ლიდერმა მიტჩ მაკონელმა. სწორედ მან დაიყოლია სპიკერი მაკარტი, რომ დროებითი ბიუჯეტი მიეღოთ. ასეც მოხდა. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ ტრამპისტებმა ერთი აყალ-მაყალი ატეხეს. ისინი ფეხებს აბრახუნებდნენ, უსტვენდნენ და გაჰკიოდნენ: ძირს მაკარტი!

კონგრესის შემდეგი სხდომა რამდენიმე დღის შემდეგ უნდა გამართულიყო. მაკარტის წინააღმდეგ გამოვიდნენ როგორც რესპუბლიკელები, ისე დემოკრატები. ამ უკანასკნელთ არ მოეწონათ მაკარტის საქციელი კენჭისყრამდე, როცა სპიკერმა კატეგორიული მოთხოვნა წამოაყენა: ან უკრაინისადმი დახმარება შეწყდება, ან ბიუჯეტი ჩავარდება! დემოკრატი და რესპუბლიკელი რეიგანისტები იძულებულნი გახდნენ, დათანხმებულიყვნენ მაკარტის მოთხოვნას. შედეგად ბიუჯეტი მიიღეს. ამის შემდეგ ტრამპისტულმა უმცირესობამ მაკარტის გადაყენება მოითხოვა.

რეიგანისტმა რესპუბლიკელებმა ყოფილ თანამოაზრეს ზურგი აქციეს. დემოკრატებმაც მაკარტის დაცვა არ ისურვეს. შედეგად სპიკერი გადააყენეს.

ამრიგად, დღეიდან აშშ-ის კონგრესს სპიკერის მოვალეობის შემსრულებელი ჰყავს. ეს იმას ნიშნავს, რომ კონგრესი ვერ იმუშავებს. დემოკრატები კონგრესში აშკარა უმცირესობაში არიან. რესპუბლიკელთა ორივე ფრთას (როგორც ტრამპისტები, ისე რეიგანისტები) არა აქვს საკმარისი ხმა იმისათვის, რომ საკუთარი სპიკერი გაიყვანოს. ტრამპისტებსაც ერთადერთი გამოსავალი რჩებათ: ქაოსის გაღრმავება და ამ ფონზე ხელისუფლებაში თავიანთი ლიდერის მოყვანა. ბუნებრივია, ეს არც რეიგანისტებს და არც დემოკრატებს არ სურთ.

ამრიგად, აშშ-ში ხელისუფლებისათვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის. ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ ვინ გაიმარჯვებს. ამაზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული როგორც საქართველოს, ისე უკრაინისადმი ამერიკული დახმარების ბედი.

ბაიდენის ადმინისტრაცია სტუდენტებს ეხმარება

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის ძალითაც სტუდენტებს სწავლის გადასახადის ვალი ეპატიათ. ამისათვის 9 მილიარდი დოლარი იქნა გამოყოფილი.

სტუდენტებისადმი დახმარება ბაიდენის წინასაარჩევნო ადმინისტრაციის პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მუხლი იყო.

უკრაინელებმა რუსების ყველა შეტევა მოიგერიეს

უკრაინაში საომარი მოქმედებები გრძელდება. როგორც მოსალოდნელი იყო, ოკუპანტებმა კუპიანსკის მიმართულებით შეტევა სცადეს. იერიში მოგერიებულ იქნა. მტერმა დიდი ზარალით დაიხია უკან. მსგავსი სიტუაციაა ლიმანის მიმართულებითაც.

სასტიკი ბრძოლებია დონეცკის ფრონტზე. უკრაინულმა არმიამ არა მარტო რუსების კონტრშეტევები მოიგერია, არამედ წინაც წაინია. კერძოდ, უკრაინელთა წინსვლა დაფიქსირდა დასახლებულ პუნქტ პესკისთან. უკრაინელებს პესკიდან უკვე 2 კმ აშორებთ. პესკი კი ფაქტიურად დონეცკის ნაწილია. რაც შეეხება ავდეევკას და მარინკას, აქ მდგომარეობა უცვლელია. უკრაინელებმა რუსების ყველა შეტევა მოიგერიეს და პოზიციებიც შეინარჩუნეს.

რაც შეეხება ბახმუტს, აქ უკრაინელები წინსვლას განაგრძობენ. უკრაინელებმა წინსვლა განახორციელეს ანდრეევკის მახლობლად. აქ მათ პოზიციები გაიუმჯობესეს.

უკრაინული არმია კურდიომოვკის ნახევარზე მეტს აკონტროლებს. ოკუპანტების მდგომარეობა სავალალოა.

აღსანიშნავია ზაპოროჟიეს ოლქში შექმნილი მდგომარეობაც. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, უკრაინელებმა გარღვევა განახორციელეს ნოვოპროკოპიევკასა და ტოკმაკთან. რუსული რტრ-ის აღიარებით, ოკუპანტებმა ნოვოპროკოპიევკადან უკან დაიხიეს.

უკრაინული არმია ტოკმაკს მიუახლოვდა. უკვე მხოლოდ 3 კმ აშორებს მას ქალაქს. ტელეკომპანია „პრიამის“ ცნობით, ტოკმაკი უკვე იქაურმა კოლაბორაციონისტებმაც დატოვეს. ქალაქში რუსული არმიის დამატებითი ნაწილები იქნა გადასროლილი, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა.

რაც შეეხება მდგომარეობას ხერსონსჩინაზე, აქ უკრაინელებმა ხერსონის ოლქის დნეპრის მარცხენა ნაპირზე რამდენიმე კუნძული დაიკავეს. პასუხად რუსებმა ხერსონი დაბომბეს. დაიღუპა 1 პოლიციელი და 3 მოხუცი ქალი.

ყირიმში უკრაინული დესანტი გადასხეს

ყირიმში უკრაინული დესანტი გადასხეს. ამის თაობაზე იტყობინება „აპოსტროფ ტვი“. აღნიშნული ინფორმაცია რუსულმა რტრ-მაც დაადასტურა.

უკრაინულმა დესანტმა ყირიმში განახორციელა დივერსიები და უკან დაბრუნდა. შედეგად ლიკვიდირებულ იქნა 30 რუსი ჯარისკაცი. დაიღუპა 1 უკრაინელი მეომარი, 2 დაიჭრა.

რუსმა ოკუპანტებმა რამდენიმე უკრაინული დასახლებული პუნქტი დაკარგეს

გასულ დღეს რუსმა ოკუპანტებმა რამდენიმე უკრაინული დასახლებული პუნქტი დაკარგეს. ამას მოკლული რუსი ჯარისკაცებიც დაემატა. პასუხად რუსებმა უკრაინის ტერიტორია დაბომბეს.

კერძოდ, დაიბომბა ქალაქები: ზაპოროჟიე, ოდესა, ხერსონი, ნიკოლაევი, დნეპრი, ნიკოპოლი, კრივოი როგი და ხარკოვი. პასუხად უკრაინელებმა რუსეთის ტერიტორიას დაარტყეს. დაიბომბა ბელგოროდი, კურსკი, ვორონეჟი, ბრიანსკი, ტუაფსე და კრასნოდარი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ვილი სანიოლმა მოახლოებული მატჩებისთვის შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს ნაკრებს ოქტომბერში ორი მატჩი ელის: 12 ოქტომბერს ტაილანდთან ამხანაგურად ითამაშებს, ხოლო 15 ოქტომბერს ევრო 2024-ის შესარჩევ ეტაპზე კვიპროსს დაუხვდება.

ვილი სანიოლის გუნდს შესარჩევი ეტაპიდან ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვება გაუჭირდება, ამიტომ თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ორივე ამხანაგური თამაშია.

მოახლოებული მატჩებისთვის მზადებას ჩვენი გუნდი 9 ოქტომბერს იწყებს. ფრანგმა სპეციალისტმა უახლესი ორი მატჩისთვის 24 ფეხბურთელი გამოიძახა. მათ შორის ერთი დებიუტანტია – იტალიური სპეციას 22 წლის მცველი ივა გელაშვილი.

მოახლოებული მატჩების წინ საქართველოს ეროვნული გუნდის თავკაცმა ვილი სანიოლმა პირველი არხის გადაცემა „ტაიმაუტში“ ისაუბრა.

ვილი სანიოლი:

– ჩვენი ჯგუფის ნაკრებები სხვა სამყაროდან არიან, ძალიან გამოცდილები და ძლიერები. ვიცოდით, მათთან დიდი ბრძოლა გველოდა და მაქსიმუმი უნდა გაგვეკეთებინა. ბოლო ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ შევძელით. შესაძლოა, ბოლო პერიოდში პრობლემებს წავაწყდით, თუმცა მოგეხსენებათ, ევოლუცია სწორხაზოვანი არასდროსაა. განვითარებისთვის თავდაუზოგავი მუშაობაა საჭირო. საუკეთესო შედეგს ყოველთვის ვერ მიაღწევ.

შესარჩევი ჯგუფიდან ევრო 2024-ზე მოხვედრის შანსი თუ გვქონდა? ვიცოდით, მძიმე ბრძოლა გველოდა და კონკრეტულ შეხვედრებში მაქსიმუმის გაკეთება გვსურდა. ბოლო მატჩებში პრობლემებს წავაწყდით, განვითარებისთვის შრომაა საჭირო.

მხოლოდ შედეგებზე ვერ ვისაუბრებ. ბევრი სხვა ასპექტია და ყურადღება განვითარებაზე უნდა გავამახვილოთ. ნორვეგიაში მეტი უნდა გაგვეკეთებინა. იყო მცირე დეტალები, რამაც საბოლოოდ ეს შედეგები გამოიწვია.

მომეწონა რეაქცია, რომელიც ფეხბურთელებს ესპანეთთან შეხვედრის შემდეგ ჰქონდათ. ჩემი აზრით, სწორ გზაზე ვდგავართ დ შეგვიძლია, ფლეი ოფის გზით ევროპის ჩემპიონატზე გავიდეთ.

ესპანეთთან თამაშის გეგმა მთლიანად არასწორი იყო, რაზეც პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ. ასევე არასწორი იყო მოთამაშეთა მიდგომა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს ის ჩავარდნა იყო, რომელიც ნებისმიერ გუნდს ერთხელ მოსდის.

შესაძლოა, ბურთი მუდმივად არ გქონდეს, თუმცა მის გამოყენებასთან სტაბილური იყო. ნორვეგიაში ბევრი საგოლე მომენტი გვქონდა. რაც შეეხება მათი მწვრთნელის კომენტარს, რომ არ ვუტევდით, მის ადგილას კომენტარს საკუთარ გუნდზე გავაკეთებდი, რომელიც ასევე არაა სრულყოფილი. ამ კრიტიკას არ ვიღებ.

ბოლო დროს ხვიჩა კვარაცხელიამ ბევრი კარგი რამ აჩვენა და კვიპროსის ნაკრების წინააღმდეგ დაამტკიცებს, რომ მისი ნაკრების სახელით ბევრი რამ შეუძლია.

ჩვენ გუნდში ბევრი ახალი მოთამაშეა, უნდა მივცეთ მათ დრო, რადგან ერთა ლიგიდან მონიჭებულ ფლეი ოფში უნდა ვითამაშოთ.

არ ვფიქრობ, რომ კანკავას წასვლის შემდეგ საყრდენი ზონა პრობლემურია. მისი წასვლის შემდეგ ტაქტიკა შევცვალეთ და აბსოლუტურად ახალი სისტემა გვაქვს. დიდი ხანი წაუგებლად ვასპარეზობდით.

ტაილანდსა და კვიპროსთან ბევრი ცვლილება იქნება, მაინტერესებს, ფეხბურთელები როგორ განვითარდნენ.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა:

მეკარე: გიორგი ლორია (დინამო, თბ), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლუკა გუგეშაშვილი (ყარაბაღი, აზერბაიჯანი);

დაცვა: გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), სოლომონ კვერკველია (ალ ახდუდი, საუდის არაბეთი), ლუკა ლოჩოშვილი (კრემონეზე, იტალია), ირაკლი აზაროვი (შახტარი, უკრაინა), ივა გელაშვილი (სპეცია, იტალია), ალექსანდრე კალანდაძე (დინამო, თბ);

ნახევარდაცვა: ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი) ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), გაბრიელ სიგუა (ბაზელი, შვეიცარია), გიორგი ქოჩორაშვილი (ლევანტე, ესპანეთი), ვლადიმერ ამაუჩაშვილი (დინამო, ბთ), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო, თბ), სანდრო ალთუნაშვილი (ვოლფსბერგერი, ავსტრია), ლევან შენგელია (პანეთოლიკოსი, საბერძნეთი), საბა ლობჟანიძე (ატლანტა, აშშ), გიორგი ჩაკვეტაძე (უოტფორდი, ინგლისი), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი);

თავდასხმა: გიორგი მიქაუტაძე (აიაქსი, ნიდერლანდები), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია), დავით ვოლკოვი (საბაჰი, აზერბაიჯანი), ბუდუ ზივზივაძე (კარლსრუე, გერმანია);

ორივე მატჩი თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება. ბილეთების გაყიდვა დაწყებულია.

მსოფლიო ჩემპიონატი სამ კონტინენტზე და ექვს ქვეყანაში გაიმართება

ფიფას საბჭოს სხდომა გაიმართა და გადაწყდა, რომ 2030 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, ისტორიაში პირველად, სამ კონტინენტზე და ექვს ქვეყანაში გაიმართება. აღსანიშნავია, რომ მატჩები ჩატარდება ყველა იმ ქვეყანაში, რომელმაც მასპინძლობისთვის განაცხადი შეიტანა – მაროკო, ესპანეთი, პორტუგალია, ურუგვაი, არგენტინა, პარაგვაი.

მსოფლიო ჩემპიონატის 100 წლის იუბილის აღსანიშნავად, გახსნის მატჩი ურუგვაიში გაიმართება, რომელშიც ურუგვაის ნაკრები მიიღებს მონაწილეობას. სამხრეთამერიკული ნაკრებები – ურუგვაი, არგენტინა და პარაგვაი საწყის სამ მატჩს საკუთარ ქვეყანაში ჩაატარებენ. ყველაზე მეტ მატჩს კი, მაროკო, ესპანეთი და პორტუგალია უმასპინძლებს. ფინალი მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზეა“ დაგეგმილი.

გეტყვით, რომ 2030 წელს პირველი მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებიდან 100 წელი სრულდება, პირველი მუნდიალი 1930 წელს ურუგვაიში ჩატარდა და საუკუნის შემდეგაც მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის მატჩიც იქ გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ხვიჩა კვარაცხელიას ორი ოცნება — ლიგა და საქართველო

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა ხვიჩა კვარაცხელიამ ნაპოლის შემადგენლობაში საკუთარი ოცნების გუნდის, რეალის წინააღმდეგ ითამაშა. ხვიჩას ოცნების შესახებ ესპანელმა ჟურნალისტებმაც იციან და ამ გუნდების მატჩის წინ, ქართველ ფეხბურთელთან ინტერვიუ ჩაწერეს.

— თქვენი სახე ნეაპოლის ყველა ქუჩაზეა გამოკრული. რასაკვირველია, ეს ამბავი თქვენთვის უცხო არ არის.

— ყოველთვის, როდესაც სახლიდან გავდივარ, ამ ადამიანების სიყვარულს ვგრძნობ, რისთვისაც მადლიერი ვარ. ისინი რომ არა, ასე შორს ვერ წავიდოდი. ასეთი მზრუნველობის შეგრძნება სხვა ენერგიას გაძლევს. სასიამოვნოა, რომელ ქალაქშიც არ უნდა ჩახვიდე, ნეაპოლელი ყველგან იღიმის და სიყვარულს გჩუქნის. ეს ხალხი ყველაფერს საუკეთესოს იმსახურებს.

— გასული სეზონი 14 გოლით და 14 საგოლე პასით დაასრულეთ.

— იმიტომ, რომ ვიპოვე ადამიანთა საოცარი ჯგუფი, მწვრთნელები, კლუბის თანამშრომლები. მათ გარეშე ასეთ შედეგს ვერ მივაღწევდი. ყველაფერი იდეალურად მუშაობდა.

— სამუდამოდ დარჩებით ერთ-ერთ გმირად, რომელმაც ნაპოლის მარადონას გარეშე სკუდეტო მოაგებინა.

— ხალხი თვეების განმავლობაში ზეიმობდა, მე კი წარმატების მნიშვნელობას აპრილში, იუვეს დამარცხების შემდეგ მივხვდი. ტურინიდან ნეაპოლში რომ დავბრუნდით, ხალხს საავტომობილო გზა გადაკეტილი ჰქონდა. თვალებს ვერ ვუჯერებდი. ავტობუსის სახურავზე ავძვერით და მათთან ერთად ვზეიმობდით. სკუდეტოს სიმბოლიკიანი ქუდი მეხურა. იმ ქუდს დღესაც ვინახავ.

— თქვენი სკუდეტო პლანეტის ყველა კუთხეში იზეიმეს. კლუბის ახალი დევიზია: ნეაპოლიდან მსოფლიოსკენ!

— საერთაშორისო პოპულარობის ზრდა აშკარაა. გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავედით და ვიგრძენით, რომ ევროპაში კიდევ უფრო წინ წასვლის ღონე შეგვწევს. მეტის მიღწევა გასულ სეზონშიც შეგვეძლო.

— კრუიფი ამბობდა, რომ ფეხბურთი ქუჩებში ისწავლება. თქვენ ეს თამაში სწორედ ასე ისწავლეთ და ქუჩის სული ხელუხლებლად შეინახეთ.

— ქართველი ფეხბურთელები ქუჩებში ვიზრდებით. ისევე, როგორც ბრაზილიელებს, ჩვენც გვაქვს ჩვენი სტილი, რომელიც შენობებს შორის ყალიბდება. ქუჩაში მას მერეც ვთამაშობდი, რაც გუნდებში დავიწყე ვარჯიში. შინ რომ ვბრუნდებოდი, ქუჩაში ვრჩებოდი და მეგობრებთან ვთამაშობდი. ბურთაობა ყველაზე მეტად სწორედ იქ მომწონდა.

— ქუჩიდან დაიწყეთ, შემდეგ კი იტალიის ჩემპიონი და „ოქროს ბურთის“ ერთ-ერთი კანდიდატი გახდით.

— ისეთი პატარა ქვეყნის შვილისთვის, როგორიც საქართველოა, ამის წარმოდგენა ძნელი იყო. ამისათვის საქმეში მთელი გულის ჩადება, მსხვერპლის გაღება დამჭირდა. როგორც ყველა, მეც ვოცნებობ, რომ ერთ დღეს „ოქროს ბურთს“ მოვიგებ.

— როგორ ფიქრობთ, ვინ გახდება „ოქროს ბურთის“ წლევანდელი ლაურეატი?

— ალბათ, მესი.

— თქვენი საყვარელი გოლი.

— ძალიან კარგი იყო გოლი, რომელიც ატალანტას გავუტანე. ბოლოს, უდინეზეს კარში გატანილი გოლიც კარგი გამოვიდა.

— ამ გოლით მარტში დაწყებული გვალვა დაასრულეთ.

— ნებისმიერმა ფეხბურთელმა იცის, რომ იმას, რასაც მისგან ითხოვენ მუდმივად ვერ გააკეთებს. მთავარია, ასეთმა პერიოდებმა სწორად იმოქმედოს და ოსტატობის ასამაღლებლად მუშაობისკენ გიბიძგოს. გულწრფელად გეტყვით, კრიტიკა ჩემზე არ მოქმედებს: ერთადერთი, რაც მაინტერესებს, გუნდის დახმარებაა. არ აქვს მნიშვნელობა, გოლს გავიტან თუ საგოლე პასს ჩავაწოდებ. თუმცა, რასაკვირველია, გოლის გატანის განცდა მენატრებოდა.

— რაკი სიტყვა გოლებზე ჩამოვარდა, თქვენ ესპანეთის ნაკრებს გაუტანეთ გოლი, რომელმაც შესაძლოა კარიერა შეგიცვალათ.

— მაშინ 19 წლის ვიყავი. თბილისში, ეროვნულ სტადიონზე ესპანეთისთვის გოლის გატანა შესანიშნავი განცდა იყო. გამარჯვებაც შეგვეძლო, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. იმ გოლმა კი საკუთარი თავის რწმენა გამიძლიერა. მართალია, კარიერას ერთი ეპიზოდი ვერ შეგიცვლის, მაგრამ ყველა ერთად შენს გზაზე გადადგმული მორიგი ნაბიჯი გამოდის.

— სულ ცოტა ხნის წინ კი „ლა როხასგან“ ძალიან მძიმე მარცხი, 1:7 იწვნიეთ.

— ის ჩვენი საღამო არ იყო. ფეხბურთში ასეთი რაღაცები ხდება. საქართველოს ნაკრები ის გუნდია, რომელიც ტოლს არავის დაუდებს და ამის დამტკიცებას ვაპირებთ. ვფიქრობ, საქართველოს ნაკრებთან თამაში არც ერთი გუნდისთვის არ არის სასიამოვნო.

— ვალენსიას მეკარესთან, გიორგი მამარდაშვილთან თუ მეგობრობთ?

— რასაკვირველია. ის ჩემი ახლო მეგობარია. ის უნიჭიერესი მეკარეა, დიდი პროფესიონალი და მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიმაჩნია.

— როგორც ვიცით, რეალს გულშემატკივრობ.

— ტელევიზორში რეალის ყურებით გავიზარდე, ახლა კი ეს გუნდი ჩემი მეტოქეა, თან ჩვენს სტადიონზე. შეუძლებელია, ასეთ დღეს თავს ბედნიერად არ ვგრძნობდე.

— ნათქვამი გაქვთ, რომ გუტის და კრიშტიანუ რონალდუს ეთაყვანებოდით.

— მათ ვუყურებდი და მიხაროდა ჭაბუკლობდი. ვცდილობდი გამემეორებინა მათი ფინტები, დარტყმები. ისინი მე შთამაგონებდნენ.

— გუტიმ თქვენ მაისური გამოგიგზავნათ.

— მომწონდა მისი ბურთის ფლობის მანერა. ბავშვობაში ვუყურებდი და ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ დამიკავშირდებოდა. ჩვენ მესიჯებიც გავცვალეთ, რამაც ძალიან გამახარა. ეს იყო პატარა ხვიჩას ოცნების ახდენა.

— თქვენ თქვით, რომ ჩემპიონთა ლიგაში რაც შეიძლება შორს გინდათ წასვლა. ნაპოლი მეოთხედფინალში პირველად იყო.

— ეს იყო დიდი ამოცანა. ახლა მისი გაუმჯობესება გვინდა. გაჩერებას არ ვაპირებთ. დრო გვაჩვენებს, რამდენად შორს შევძლებთ ევროთასზე გასვლას.

— მწვრთნელის ცვლილებას როგორ შეეგუეთ?

— უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადავუხადო ლუჩანო სპალეტის. ჩემი სწამდა და პოტენციალის გამომჟღავნების შესაძლებლობა მომცა. ჩვენ დროგამოშვებით ველაპარაკებით ერთმანეთს. ის ჩვენს გულშემატკივრობას განაგრძობს. რაც შეეხება რუდის, დიდი მწვრთნელია. ნაბიჯ-ნაბიჯ ვსწავლობთ მის ტაქტიკას და ხედვას. მჯერა, რომ მალე მისი ფეხბურთის საუკეთესო ვარიანტს ვითამაშებთ. ჩვენ ვართ ფეხბურთელები, რომელთაც შეგვიძლია და გვინდა მწვრთნელის იდეებს მივსდიოთ.

— თქვენ და ოსიმენს ერთმანეთის საუცხოოდ გესმით.

— ვიქტორი განსაკუთრებული ბიჭია და ეს თამაშის დროს კარგად ჩანს. მოედანზე თუ მის გარეთ ის ყოველთვის მზად არის დახმარების ხელი გამოგიწოდოს.

— დახმარებისთვის მისი მადლობელი ხართ?

— რა თქმა უნდა. მუდამ.

— რაზე ოცნებობთ?

— ორი ოცნება მაქვს: ჩემპიონთა ლიგის მოგება და საქართველოს ნაკრებთან ერთად ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაში.

უხვგოლიანი ტური და შერცხვენილი პსჟ

ჩემპიონთა ლიგის მე-2 ტურის მეორე დღე უხვგოლიანი და დრამატული აღმოჩნდა. რამდენიმე საინტერესო მატჩი გაიმართა, მაგრამ სენსაციების გარეშე.

E ჯგუფი

დრამატული გამოდგა მადრიდული მატჩი, სადაც „ვანდა მეტროპოლიტანოზე“ ატლეტიკომ ფეინოორდს 3:2 მოუგო.

გუნდებმა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გაიტანეს 2-2 გოლი. მეორე ტაიმში დიეგო სიმეონეს გუნდი ცოტათი უკეთესი იყო მეტოქეზე და გამარჯვებაც დარჩა – 3:2.

რომის ლაციომ კი გლაზგოში, სელტიკთან უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოიპოვა. არადა, მაურიციო სარის გუნდი აგებდა, მაგრამ მალევე გაათანაბრა. გამარჯვების გოლი კი 95-ე წუთზე პედრომ გაიტანა.

ჯგუფს ატლეტიკო და ლაციო 4-4 ქულით ლიდერობენ, ფეიენოორდს 3 ქულა აქვს, ხოლო სელტიკმა“ ორივე თამაში წააგო.

F ჯგუფი

ნიუკასლის გულშემატკივრები ჩემპიონთა ლიგას 20 წელი იყვნენ მონატრებული და გუნდმაც არ დააღალატა – ჩრდილო ინგლისელებმა „სენტ ჯეიმს პარკზე“ პარი სენ-ჟერმენს ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუწყვეს.

„კაჭკაჭებმა“ ყველაფერში დაჯაბნეს პარიზელები და 4:1 მოიგეს.

ამავე ჯგუფში დორტმუნდი და მილანი გერმანულ მატჩში ერთმანეთს უგოლოდ დაშორდნენ. მოგება ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ ბურთმა კარში შესვლა არ ინება.

ორი ტურის შემდეგ ჯგუფს ნიუკასლი 4 ქულით ლიდერობს, 3 ქულა აქვს პსჟ-ს, 2 მილანს და ერთიც დორტმუნდს.

H ჯგუფი

მანჩესტერ სიტიმ სტუმრად ლაიფციგს აჯობა – 3:1. ამავე ჯგუფში სერბული ცრვენა ზვეზდა შვეიცარიულ იანგ ბოიზს ჯერ უგებდა, მერე აგებდა, საბოლოოდ კი ფრე – 2:2.

სიტი 6 ქულით ლიდერია, ლაიფციგს 3 ქულა აქვს, იანგ ბოიზსა და ცრვენა ზვეზდას თითო-თითო.

J ჯგუფი

ანტვერპენი-შახტარის მატჩი ქართველების გამო გვაინტერესებდა. თუმცა, გიორგი გოჩოლეიშვილი სათადარიგოებს შორის დარჩა, ხოლო ირაკლი აზაროვმა შეუცვლელად ითამაშა.

შახტარმა 3:2 მოიგო. არადა, თავიდან 0:2 ჩამორჩა. მატჩის ბოლო წამზე ბელგიელებს შეეძლოთ ნაგების თავიდან აცილება, მაგრამ გუნდის კაპიტანმა ტობი ალდერვეირელდმა 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა.

ბარსელონამ პორტუს სტუმრად 1:0 აჯობა. პირველი ტაიმის მიწურულს გამარჯვების გოლი ფერან ტორესმა გაიტანა. მატჩი კი უხეში გამოდგა – 9 ყვითელი და ერთი წითელი ბარათი ვიხილეთ. ბარსადან გავი გააძევეს.

ბარსა ჯგუფს 6 ქულით ლიდერობს, პორტუს და შახტარს 3-3 ქულა აქვთ, ანტვერპენი უქულოდაა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

ქართულ გეოფიზიკოსთა რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი შესანიშნავი პიროვნება, თავისი საქმის ჭეშმარიტი პროფესიონალი, მაღალი ენერგიების კოსმოსური სხივების ლაბორატორის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

თემურ ჯაფიაშვილი

აღსანიშნავია, რომ ბატონი თემური სამეცნიერო კვლევით საქმიანობასთან ერთად წარმატებით ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას. კერძოდ, წლების განმავლობაში იყო ქართული რადიოს პოლიტიკური მიმომხილველი. შემდეგ საქმიანობა დაიწყო ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროში. ის იყო აზიის ქვეყნებში (ყაზახეთი, თურქმენეთი) ელჩის მოვალეობის შემსრულებელი.

ინსტიტუტის თანამშრომლები მწუხარებით თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს და პატივს მიაგებენ მის ნათელ ხსოვნას.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ

შვეულად: 1. მონასტრის მსახური; 2. ისრაელის პარლამენტი; 3. საღებავი ნივთიერება, რომელიც ფერს აძლევს ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილებს; 4. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 5. მზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 8. ცოლის დედა; 9. „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 12. მკვეთრ კონტრასტებზე დამყარებული მხატვრული ხერხი ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 13. სამართლებრივი მდგომარეობა; 16. ხეობა, ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 17. მზის სისტემის პლანეტა; 19. ესპანელი აზნაური; 20. ძნელად შესაგუებელი, უხასიათო ადამიანი.

თარაზულად: 6. საცხენოსნო შეჯიბრების ხელმძღვანელი; 7. ჩრდილო აფრიკაში მცხოვრები არაბების ძველი სახელწოდება; 8. უდაბნოს ცხელი ქარი; 10. კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ორგანიზაციის კინოპრიზი; 11. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 14. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა ან გამოთქმა; 15. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 18. ცირკის არენა; 21. საჯარო კამათი ლიტერატურულ, მეცნიერულ საკითხზე; 22. მდინარე ოზურგეთში; 23. ცნობილი უელსელი რაგბის მსაჯი; 24. ქართველი ბალეტმეისტერი, ამერიკული ბალეტის ფუძემდებელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰამერი; 2. რალი; 3. არბიტრაჟი; 4. ანაშა; 5. ჟინვალი; 8. ვადუცი; 9. ბალახვანი; 12. გელათი; 14. თაბახი; 16. იჯარა.

თარაზულად: 1. ჰიპოკრატე; 6. კრიჟანგი; 7. მაყვალი; 9. ბრაილი; 10. იავა; 11. სუფრული; 13. დათვი; 15. ლენინი; 17. ჭიდაობა; 18. კაპელა; 19. ლიახვი; 20. დარიალი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბეიძინი; 2. პუშკაში; 3. მისტრალი; 4. გელათი; 5. ლონდონი; 8. ბიზნესი; 9. ვილაიეთი; 12. ორატორია; 13. შნიცელი; 16. კოალიცია; 17. მაესტრო; 19. ისინდი; 20. პუებლო.

თარაზულად: 6. ხევსურეთი; 7. სექტორი; 8. ბოტეგა; 10. ჟინვალი; 11. შოვი; 14. ყინწვისი; 15. ტალახაძე; 18. კოპოლა; 21. სალომეა; 22. გურჯი; 23. იამოტო; 24. კაბელტოვი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

6 ოქტომბერი

აშშ დოლარი — 2.6783

ევრო — 2.8170

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2504

100 რუსული რუბლი — 2.6794

ამინდის პროგნოზი 6 ოქტომბრისათვის

ხავი: „პორტოსთან რთული შეხვედრა მოვიგეთ“

ბარსელონამ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეორე შეხვედრაში სტუმრად პორტო დაამარცხა 1:0 და 6 ქულით კატალონიური გუნდი თავის ჯგუფს დამაჯერებლად ლიდერობს. ბარსელონას მწვრთნელმა ხავიმ მატჩის შემდეგ თქვა, რომ მისმა გუნდმა რთული თამაში მოიგო:

– ძალიან რთული შეხვედრა გამოდგა და ჩვენ ხასიათი ვაჩვენეთ, ამიტომ გამარჯვება დავიმსახურეთ. მინდა, რომ ჩემპიონთა ლიგაში შორს წავიდეთ და ტურნირის მოსაგებად ვიბრძოლოთ.

მბაპე: „ნიუკასლთან საშინლად ვითამაშეთ“

პსჟ-ს ლიდერმა კილიან მბაპემ ნიუკასლთან წაგებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა გუნდმა საშინლად ითამაშა და მათ წაგება დაიმსახურეს. კილიანის თქმით, მას არ ესმის, თუ რატომ ვერ შეძლო პსჟ-მ თავისი ჩვეული თამაშის ჩვენება:

– ძალიან სამწუხაროა, რომ წავაგეთ, მაგრამ უფრო მეტად თამაშის ხარისხია საგანგაშო, რადგან ასე ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში ვერაფერს მივაღწევთ. ვარჯიშებზე ორმაგად მეტი უნდა ვიშრომოთ. .

ჯუდ ბელინგემი: „მინდა, მაღალ დონეზე თამაში გავაგრძელო“

მადრიდის რეალის ახალგაზრდა ნახევარმცველმა ჯუდ ბელინგემმა თქვა, რომ მას სიამოვნებს, როდესაც აქებენ, თუმცა ამის გამო ის თავს არ დაკარგავს და გააგრძელებს ისევ მუშაობას, რადგან ეს აუცილებელია:

– მინდა, რომ მაღალ დონეზე გავაგრძელო თამაში და ჯერ მხოლოდ სეზონის დასაწყისია, ამიტომ ყველაფერი წინ არის. როდესაც გუნდი კარგად თამაშობს, ყველაფერი უფრო იოლი ხდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ბიონსემ მსოფლიო ტურის დასკვნითი კონცერტი დემნას კაბით დახურა

მსოფლიო ვარსკვლავმა ბიონსემ თავისი მსოფლიო ტურნეს ბოლო კონცერტი ქართველი დიზაინერის, დემნას კაბით დახურა.

მუსიკალური ტურის ფინალურ საღამოზე მომღერალი ათასობით მსმენელის წინაშე დემნას 2023 წლის ყველაზე ძვირფასი კაბით წარდგა. ძვირფასი თვლებით კაბა ბალენსიაგამ 500 000 დოლარად ივლისში გამოუშვა.

გიორგი ყიფშიძე თეატრალურ უნივერსიტეტში საგანგაშო მდგომარეობაზე ალაპარაკდა

მსახიობი გიორგი ყიფშიძე თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ საგანგაშო მდგომარეობაზე ალაპარაკდა:

– მინდა მივმართო ჩვენს კულტურის მინისტრს თეა წულუკიანს იმიტომ, რომ შეიძლება მასთან ხმა არ მიდის და ინფორმირებული არ არის.

მინდა გითხრათ, ქალბატონო მინისტრო, რომ განგაშის ზარია შემოკრული და ყვირიან თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები. დაკბენილები არიან – აბსოლუტური განუკითხაობაა, სიბინძურეა, შეიძლება ტუბიკები გამოვიდნენ აქიდან, 2.000 რაღაცა ლარს იხდიან წელიწადში და რისთვის? რომ დაკბინონ? მუნები დაემართოთ? რწყილებმა დაკბინონ? ყველა დაკბენილია. ლექციაზე ვერ შედიან, იმიტომ, რომ ცეკვის და პლასტიკის გაკვეთილებზე რწყილები კბენენ.

პედაგოგები, რომლებმაც აიყვანეს ჯგუფები – შალუტაშვილია, მარგველაშვილია – არ დადიან. ყველა მაგას ამბობს, რომ აგვიყვანეს, არ დადიან, არ გვასწავლიან. ძალიან დიდი ბოდიში, ორივე ძალიან მიყვარს, მაგრამ სტუდენტები ამბობენ და ეს სირცხვილია.

ეს კანტორა არის დასაკეტი და რაღაც ახალია მოსაფიქრებელი. ძველი ყაიდის წურბელები სხედან მანდ. ძალიან ცოდოები არიან ის სტუდენტები, ვინც მანდ უნდა გაიზარდონ.

არ არის სირცხვილი? მე კი მგონია, რომ ძალიან სირცხვილია.

მწერალთა სახლში კინოჩვენებები მოეწყობა

მწერალთა სახლში 21 ოქტომბრიდან კინოჩვენებების სერია დაიწყება. კინოჩვენებების შემდეგ გაიმართება დისკუსია მოწვეული სტუმრის მონაწილეობით.

„ქართული პროზა კინოში“ – ასე ჰქვია ღონისძიებათა ციკლს, რომელიც ლიტერატურისა და კინოს სფეროებს გააერთიანებს. შაბათსა და კვირას დაგეგმილ რეტროსპექტივაზე წარმოდგენილი იქნება ქართული ფილმების მრავალფეროვანი არჩევანი, რომელიც შთაგონებულია როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ქართველი მწერლების შემოქმედებით. ჩვენებები მწერალთა სახლში გაიმართება და ხელოვნების ორ სფეროს, ლიტერატურასა და კინემატოგრაფიას გააერთიანებს.

თავისუფალი თეატრი მილანში მიიწვიეს

თავისუფალი თეატრი და მისი ერთ-ერთი წარმატებული სპექტაკლი „სამი ჰალსტუხიანი და ანგელოზი“ მილანში მიიწვიეს.

14 ოქტომბერს თათული ედიშერაშვილი, ბაჩო ქაჯაია, ჯაბა კილაძე და მამუკა მუმლაძე მაყურებლისთვის ავთანდილ ვარსიმაშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლს ითამაშებენ. წარმოდგენა მანამდე პარიზში იყო მიწვეული.

„სამი ჰალსტუხიანი და ანგელოზი“ – ეს არის კომედიური სპექტაკლი, რომლის პიესა „თავისუფალი თეატრისათვის“ ავთო ვარსიმაშვილის მიერ დაიწერა. მოქმედება პოლიციის საკანში ვითარდება, სადაც მოჰყავთ მოქალაქეები, რომლებმაც სხვადასხვა დანაშაული ჩაიდინეს, მათ დასაცავად მათთან მოდის გოგონა, ადვოკატი. ნელ-ნელა ირკვევა, რომ ისინი საკანში კი არ არიან, არამედ გაუგებარ ბუფერულ ზონაში, ხოლო გოგონა, ადვოკატი კი არა, არამედ ანგელოზია. ზონაში უნდა გაირკვეს, რა ელით მათ, სამუდამოდ აქ დარჩებიან თუ უკან, სიცოცხლეში დაბრუნდებიან.

„სუხიშვილებზე“ გადაღებულ ფილმს კინოფესტივალზე აჩვენებენ

ანსამბლ „სუხიშვილებზე“ გადაღებულ ფილმს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის კინოთეატრში აჩვენებენ, სადაც საარქივო ფილმების მეორე საერთაშორისო ფესტივალი მიმდინარეობს. ფესტივალი 1929 წელს გადაღებული ქართული დოკუმენტური ფილმით „საქართველოს კურორტები“ გაიხსნა.

ფესტივალი საქართველოს ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა გახსნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს ეროვნული კინოცენტრის, კინოსტუდია „ქართული ფილმის“, ასევე, ფესტივალში მონაწილე საზღვარგარეთის ქვეყნების კინოინსტიტუციების წარმომადგენლები.

ფესტივალის გახსნისას წარმოდგენილი სარეკლამო ხასიათის დოკუმენტური ფილმი „საქართველოს კურორტები“ 1929 წელს რეჟისორმა ედუარდ სუპატაშვილმა გადაიღო. იგი მოგვითხრობს საქართველოს სამკურნალო და დასასვენებელ კურორტებზე, მათ შორისაა: ბორჯომი, აბასთუმანი, წყალტუბო, ახტალა, ბაკურიანი და სხვა. ფილმის ერთ-ერთი შთამბეჭდავი ნაწილი საქართველოს მთებში მოგზაურობაა. სამკურნალო პროცედურების გარდა, მასში ასევე ასახულია სპორტული თუ კულტურული აქტივობები.

საფესტივალო დღეებში წარმოდგენილი იქნება მსოფლიოს 15 ქვეყნის საარქივო და კინოინსტიტუციაში დაცული 38 დოკუმენტური, მხატვრული და ანიმაციური ფილმი.

ფესტივალზე მისული მაყურებელი იხილავს ბელგიის სამეფო კინოარქივში, გერმანიის ფედერალურ არქივში, გერმანიის კინოს ინსტიტუტში, ჰოლანდიის აი კინომუზეუმში, ჩეხეთის, პერუს, ჩრდილოეთ მაკედონიის კინოთეკებში, პორტუგალიისა და ტურინის კინოს მუზეუმებში, ჩეხეთის, ესტონეთის, პოლონეთის, ბულგარეთის კინოარქივებში, აშშ-ისა და მალტის ეროვნულ არქივებში დაცულ, ალფრედ მაჩინის, დუშან ვუკოტიჩის, იან ნემეკის, ლეიდა ლაიუსის, ალბრეხტ ვიქტორ ბლუმის, ელა ბერგშან მიშელის, ძმები მანაკების, რეინალდო ფერეირას, ჯიმი მურაკამის, რობერტ სიოდმაკისა და სხვათა რეჟისორობით 1909-1975 წლებში გადაღებულ საარქივო ფილმებს.

ქართული პროგრამის მეორე ფილმი, „მსოფლიო ტაშს უკრავს“, რომელიც 7 ოქტომბერს ფესტივალს დახურავს, გიორგი ასათიანმა 1960 წელს საქართველოს ნაციონალურ ბალეტ „სუხიშვილების“ შესახებ გადაიღო. ფილმში ნაჩვენებია ანსამბლის საკონცერტო გამოსვლები ლონდონში, პარიზში, რომში, ნიუ-იორკში, ლოს-ანჯელესში, ბოგოტაში, მეხიკოში, ჰავანასა და მსოფლიოს სხვა დიდ ქალაქებში. ფილმში ასევე ნაჩვენებია ამერიკისა და ევროპის ქვეყნების ღირსშესანიშნაობები, რომლებსაც ანსამბლის წევრები სტუმრობდნენ.

ეროვნულმა არქივმა თბილისის საარქივო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი გასულ წელს დააფუძნა. ფესტივალის წლევანდელი თემა „კინოარქივების საგანძურია“. ნებისმიერ კინოჩვენებაზე დასწრება მსურველებს თავისუფლად შეუძლიათ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მეგო ნუცუბიძე: „ძალიან სტრესულ გარემოში ვცხოვრობთ“

აცხადებს მომღერალი მეგო ნუცუბიძე და ამის დასტურად მის მეუღლეს გადახდენილ ამბავს იმოწმებს:

– ძალიან სტრესულ გარემოში ვცხოვრობთ. აი ისეთში, ბოლომდე რომ არაფერი არ შეგერგება ადამიანს.

საღამოს 10 საათია. სტუდიაში ვარ. მირეკავს ქეთი. შეშინებული ხმა აქვს: ვიღაც კაცი შემოიპარა სადარბაზოში, ხელში ძალიან დიდი ურო ეჭირა და ჩვენს ველოსიპედს იპარავდაო.

ხო. არ გეჩვენებათ. უცხო კაცი. უროთი შეიარაღებული უცხო კაცი.

სახლში ახალი დაბრუნებული რომ ხარ, გინდა დაჯდე, დაისვენო, იფიქრო მომავალზე, გეგმები დაალაგო და ამ დროს გესმის ბრახუნი: ვიღაც რაღაცას ანგრევს. ხმაური რომ არ ჩერდება, ეჭვდები. მერე ველოსიპედის პედლების ხმა გესმის და ხვდები, რომ ვიღაც გძარცვავს. ფაქტობრივად, საკუთარ სახლში გივარდება.

ჩვენი სადარბაზოს კარი ყოველთვის ავტომატურად იკეტება. მაგრამ, როგორც ჩანს, სადარბაზოს კოდი უკვე გაბაზრებულია უბანში. იმ უბანში, სადაც სახლის კარს არასდროს ვკეტავდით. დედაჩემს დღემდე ღია აქვს კარი, ნებისმიერ დროს.

ველოსიპედი ვეღარ მოიპარეს. ქეთიმ ძალა მოიკრიბა და გაუვარდა ქურდს. ახლავე გაანებე ველოსიპედს თავი, თორემ პოლიციაში დავრეკავო. იმანაც, უცბად დაიგდო თითქმის სადარბაზოდან გატანილი ველოსიპედი და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

ველოსიპედი კი გადავარჩინეთ და არც არავინ დაზარალებულა, მაგრამ საგანგაშო მაინც სხვა რამეა: სიმშვიდისა და უსაფრთხოების გრძნობა საერთოდ რომ აღარ გვაქვს, არავის.

რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ, როგორც არ უნდა ვცხოვრობდეთ, სახლში დაბრუნებულს არ გვაქვს სიმშვიდის, უსაფრთხოებისა და გარანტირებული მომავლის რწმენა.

ყველას გვეშინია. ყველანი სტრესში ვართ. მათ შორის ის ქურდიც, რომელიც იმდენად სასოწარკვეთილია, რომ დაღამებასაც აღარ ელოდება ველოსიპედის მოსაპარად.

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 2. ტერიტორიული ერთეული შვედეთში; 3. წყალმცენარეების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 4. აკვალანგის გამომგონებელი ფრანგი ოკეანოგრაფი; 5. ნივრის მსგავსი სუნის მქონე ტყის ბალახი, იყენებენ მწნილის დასამზადებლად; 8. რძის პროდუქტი; 9. ფარისევლური ქცევის, ქლესა, ცბიერი ადამიანი; 12. ციფრული იაპონური გასართობი თავსატეხი; 14. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 16. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა.

თარაზულად: 1. მთელი სხეულის ძლიერი კრუნჩხვითი შეტევა; 6. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 7. აშშ-ის ელჩი საქართველოში; 9. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 10. ქართული მინერალური წყალი; 11. ძველებური სასუნთქი თამბაქო; 13. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 15. აქლემის, ცხენის რძისგან მომზადებული სასმელი; 17. უბანი ძველ თბილისში; 18. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 19. ლიეტუველი კომპოზიტორი მამაკაცი; 20. ჭადრაკის ფიგურა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა